F171
1973

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

ბრძანებათა და ინსტრუქციათა
კრებული

7-8

СБОРНИК

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

F 3809

Контрольный экземпляр

თბილისი 1973

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1972 წლის 15 სექტემბრის № 485
დ ადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სახალხო განათლების განყოფილების შესახებ

1. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სახალხო განათლების განყოფილება იქმნება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 104-ე მუხლის შესაბამისად და თავის საქმიანობაში ემორჩილება რაიონულ, საქალაქო საბჭოს, მის აღმასრულებელ კომიტეტს, აგრეთვე სახალხო განათლების ზემდგომ ორგანოს.

2. სახალხო განათლების განყოფილება არის სახელმწიფო მმართველობის დარგობრივი ორგანო, რომელიც ახორციელებს უშუალო ხელმძღვანელობას ზოგადი საშუალო განათლებისადმი, აგრეთვე ბავშვთა სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდისადმი.

სახალხო განათლების განყოფილება პასუხს აგებს რაიონის, ქალაქის ტერიტორიაზე მოქმედ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში, საბავშვო სახლებში, სკოლამდელ და სკოლისგარეშე დაწესებულებებში ბავშვთა და ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის ხარისხისათვის.

3. სახალხო განათლების განყოფილების ძირითადი ამოცანებია:

—მოაწყოს რაიონის, ქალაქის ტერიტორიაზე ბავშვთა და ახალგაზრდობის საყოველთაო-სავალდებულო სწავლება;

—შეიმუშაოს და დასამტკიცებლად წარუდგინოს ზემდგომ სახელმწიფო ორგანოებს სახალხო განათლების განვითარების გეგმების პროექტები, აგრეთვე საქვეუწყებო სახალხო განათლების დაწესებულებათა ქსელის განვითარების გეგმების პროექტები:

—უზრუნველყოს სახალხო განათლების განვითარების სახელმწიფო გეგმების შესრულება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

—მიიღოს ზომები, რათა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, საბავშვო სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებანი მომარაგებულ იქნეს სასწავლო გეგმებითა და პროგრამებით, სახელმძღვანელოებით, სასწავლო-თვალსაჩინო დამხმარე სახელმძღვანელოებით და შესაბამისი მოწყობილობით;

—დახმარება გაუწიოს სხვა უწყების სკოლებსა და საბავშვო დაწესებულებებს:

—უზრუნველყოს (შესაბამის არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების დახმარებით) მშობელთა მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვთა მოწყობა საბავშვო სახლებსა, სკოლა-ინტერნატებსა და მოქალაქეთა ოჯახებში აღსაზრდელად, განახორციელოს არასრულწლოვანთა უფლებების დაცვა, არასრულწლოვანთა მეურვეობისა და მზრუნველობის ფუნქციების განხორციელება, არასრულწლოვანთა უზედამხედველობის თავიდან აცილების სამუშაოების მოწყობა;

—გაუუმჯობესოს საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები სკოლის მასწავლებლებსა და სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების აღმზრდელებს.

4. სახალხო განათლების განყოფილება რაიონის, ქალაქის ფარგლებში ახორციელებს შესაბამის დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშაობის კოორდინაციას სწავლა-აღზრდისა და მეთოდური მუშაობის საკითხებზე საქვეუწყებო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, საბავშვო სკოლამდელ და სკოლისგარეშე დაწესებულებებში და მათთან ერთად შეიმუშავებს ღონისძიებებს ამ სკოლებსა და დაწესებულებებში ბავშვთა და ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის ხარისხის ასამაღლებლად.

5. სახალხო განათლების განყოფილება მასზე დაკისრებულ ამოცანებს ახორციელებს პროფკავშირულ, კომკავშირულ, კოოპერაციულ-საკოლმეურნეო ორგანიზაციებთან, ოჯახისა და სკოლის ხელშემწყობ საბჭოებთან, მშობელთა კომიტეტებთან და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირში.

6. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სახალხო განათლების განყოფილება თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის კონსტიტუციითა და საქართველოს სსრ კონსტიტუციით, სსრ კავშირის და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ კანონებით. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებითა და დადგენილებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებებითა და განკარგულებებით სახალხო განათლების განყოფილების საქმიანობის საკითხებზე; სახალხო განათლების ზემდგომი ორგანოების ბრძანებებით, ინსტრუქციებითა და მითითებებით და ამ დებულებით.

ავტონომიურ რესპუბლიკებში სახალხო განათლების განყოფილება თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს აგრეთვე ასსრ კონსტიტუციით, ავტონომიური რესპუბლიკისა საკანონმდებლო აქტებით, ასსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით.

7. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სახალხო განათლების განყოფილება მასზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად;

— უზრუნველყოფს ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრებას;

ახორციელებს ბავშვთა და ახალგაზრდობის სწავლების, კომუნისტური აღზრდის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებებს ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალურ სკოლებში. სკოლა-ინტერნატებში, საბავშვო სკოლამდელ და სკოლისგარეშე დაწესებულებებსა და ბავშვთა სახლებში;

— აწყობს და ახორციელებს რაიონში, ქალაქში მშრომელთა საღამოს და დაუსწრებელ სწავლებას, იღებს ზომებს, რათა საღამოს (ცვლიან) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ჩაებას ახალგაზრდები, რომელთაც არა აქვთ საშუალო განათლება;

— ავრცელებს სკოლებისა და სახალხო განათლების სხვა დაწესებულებათა მუშაობის მოწინავე პედაგოგიურ გამოცდილებას;

— აწყობს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და საქვეუწყებო სახალხო განათლების დაწესებულებებში თანამედროვე ტექნიკურ საშუალებათა (კინო, რადიო, ტელევიზია და სწავლების სხვა საშუალებანი) დანერგვასა და გამოყენებას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან ერთად ახორციელებს კონტროლს იმ პირობების დაცვისა და ღონისძიებათა შესრულებისადმი, რომლებიც უზრუნველყოფენ ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვასა და განმტკიცებას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სკოლა ინტერნატებში, ბავშვთა სახლებსა და საბავშვო დაწესებულებებში;

— უზრუნველყოფს დადგენილი წესით ოლიმპიადების, სპარტაკიადების, შეჯიბრებისა და სწავლა-აღზრდის სხვა ღონისძიებათა განხორციელებას სკოლის მოსწავლეთა შორის;

— აწყობს მოსწავლეებთან სკოლისგარეშე მუშაობას მათი საცხოვრებელი ადგილების მიხედვით.

— ეწევა მუშაობას მასწავლებელთა, აღმზრდელთა და განათლების სხვა მუშაკთა შერჩევის, განაწილების, აღზრდისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის;

— ახორციელებს კონტროლს იმისადმი, რომ რაიონის, ქალაქის განათლების დაწესებულებებში სწორად იქნეს გამოყენებული სახალხო განათლების მუშაკთათვის დადგენილი შრომის ანაზღაურების პირობები და შეღავათები;

— ეწევა სახალხო განათლების ხარჯების დაგეგმვას; ადგენს კვარტალურ და წლიურ ანგარიშგებას ბიუჯეტის შესრულების შესახებ აღნიშნული ხარჯების მიხედვით.

— კონტროლს უწევს საქვეუწყებო სახალხო განათლების დაწესებულებათა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას;

— ყოველწლიურად ატარებს მასწავლებელთა, აღმზრდელთა და სახალხო განათლების სხვა მუშაკთა ტარიფიკაციას;

— დადგენილი წესით ანაწილებს საყოველთაო-სავალდებულო სწავლების ფონდს; ახორციელებს კონტროლს მისი შესრულებისადმი;

— შეაქვს მშრომელთა დეპუტატების რაიონულ, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში განსახილველად საკითხები იმის შესახებ, რომ მოქალაქეებს მიენიჭოს შეღავათები სკოლა-ინტერნატებში, სასკოლო ინტერნატებში ბავშვთა რჩენის, აგრეთვე გახანგრძლივებული დღის სკოლებში (ჯგუფებში) ბავშვთა კვების ხარჯების ანაზღაურებაში.

— შეიმუშავებს და მშრომელთა დეპუტატების რაიონული-საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო განათლების ზემდგომი ორგანოების განსახილველად წარადგენს ღო-

ნისძიებებს სკოლებისა და სახალხო განათლების სხვა დაწესებულებათა სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის; კოორდინაციას ეწევა სახელმძღვანელოთა, პროგრამების, სასწავლო გეგმების, სასწავლო თვალსაჩინო დამხმარე სახელმძღვანელოებისა და მოწყობილობის ფონდების არსებობას; უზრუნველყოფს სახალხო განათლების დაწესებულებებს საინსტრუქციო-მეთოდიკური ლიტერატურით, საგამოცდო დოკუმენტაციით, მტკიცე ანგარიშგების ბლანკებით;

—ანაწილებს სახალხო განათლების დაწესებულებებისათვის გამოყოფილ მოწყობილობასა და სხვა მასალებს; ახორციელებს კონტროლს დანიშნულებისამებრ მათი გამოყენებისადმი;

—იღებს ზომებს სკოლებისა და სახალხო განათლების სხვა დაწესებულებათა ტერიტორიის კეთილმოწყობის გაუმჯობესებისათვის;

—პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით ეწევა მუშაობას მოსახლეობაში პედაგოგიური ცოდნის გავრცელებისათვის;

—საჭირო შემთხვევაში აუქმებს სკოლის დირექტორებისა და განყოფილების სხვა საქვეუწყებო დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების განკარგულებებს;

—შეაქვს სახალხო განათლების ზემდგომ ორგანოებში წარდგინება დანიშვნის, გადაყვანისა და განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე ნიშნავს, გადაჰყავს და ათავისუფლებს მუშაკებს დამტკიცებული ნომენკლატურის შესაბამისად.

8. სახალხო განათლების განყოფილებას სათავეში უდგას განყოფილების გამგე.

განყოფილების გამგის მოვალეობის აღსრულებელს დანიშნავს და გაათავისუფლებს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით, რაც შემდეგ უნდა დამტკიცდეს საქალაქო, რაიონული საბჭოს მორიგ სესიაზე.

9. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სახალხო განათლების განყოფილების გამგე:

—ხელმძღვანელობს განყოფილების საქმიანობას, უზრუნველყოფს მის წინაშე დასმული ამოცანების შესრულებას;

—შეაქვს რაიონული, საქალაქო საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად სახალხო განათლების საკითხებზე გადაწყვეტილებათა და განკარგულებათა პროექტები;

—განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს რაიონული, საქალაქო საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებათა და განკარგულებათა, აგრეთვე სახელმწიფო ხელისუფლების ზემდგომი ორგანოების, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების აქტების საფუძველზე და მათს შესასრულებლად;

—ახორციელებს მოქალაქეთა მიღებას, განიხილავს მოქალაქეთა წერილებს, საჩივრებსა და განცხადებებს და იღებს საჭირო ზომებს მათ გამო;

—განაგებს კრედიტებსა და სახსრებს დაწესებული ხარჯთაღრიცხვებისა და ასიგნებათა ფარგლებში;

—უზრუნველყოფს საფინანსო-საშტატო დისციპლინის დაცვას, ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა მოვლა-შენახვას;

—დადგენილი წესით მიიღებს სამუშაოდ და დაითხოვს სახალხო განათლების განყოფილების მუშაკებს ნომენკლატურის მიხედვით;

—დაამტკიცებს განყოფილების საქვეუწყებო სახალხო განათლების დაწესებულებათა გეგმებსა და ანგარიშებს, შეადგენს განყოფილების მუშაობის პერიოდულ და წლიურ გეგმებსა და ანგარიშებს, წარუდგენს მათ მშრომელთა დეპუტატების რაიონულ, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, აგრეთვე სახალხო განათლების ზემდგომ ორგანოს.

10. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სახალხო განათლების განყოფილებასთან იქმნება სათათბირო ორგანო—საბჭო განათლების მუშაკთა და საზოგადოების წარმომადგენელთა შემადგენლობით, რომელიც მონაწილეობას იღებს სახალხო განათლების უმნიშვნელოვანესი საკითხების განხილვაში.

11. სახალხო განათლების განყოფილება თავისი მუშაობის ანგარიშს პერიოდულად აბარებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომს.

12. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სახალხო განათლების განყოფილება იმყოფება ადგილობრივ ბიუჯეტზე.

13. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სახალხო განათლების განყოფილება სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით, აქვს ბეჭედი საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბის გამოსახულებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

УТВЕРЖДЕНО
постановлением Совета Министров
Грузинской ССР
от 15 сентября 1972 г. № 485

ПОЛОЖЕНИЕ

об отделе народного образования исполнительного комитета районного, городского Совета депутатов трудящихся

1. Отдел народного образования исполнительного комитета районного, городского Совета депутатов трудящихся образуется в соответствии со статьей 104 Конституции Грузинской ССР и своей деятельности подчиняется районному, городскому Совету, его исполнительному комитету, а также вышестоящему органу народного образования.

2. Отдел народного образования является отраслевым органом государственного управления, осуществляющим непосредственное руководство общим средним образованием, а также дошкольным и внешкольным воспитанием детей.

Отдел народного образования несет ответственность за качество обучения и воспитания детей и молодежи в общеобразовательных школах, школах-интернатах, детских домах, дошкольных и внешкольных учреждениях, действующих на территории района, города.

3. Основными задачами отдела народного образования являются:

—организация на территории района, города всеобщего обязательного обучения детей и молодежи:

—разработка и представление на утверждение вышестоящих государственных органов проектов планов разви-

тия народного образования, а также проектов планов развития сети подведомственных учреждений народного образования;

— обеспечение выполнения государственных планов развития народного образования;

— принятие мер к обеспечению общеобразовательных школ, детских дошкольных и внешкольных учреждений учебными планами и программами, учебниками, учебно-наглядными пособиями и соответствующим оборудованием;

— оказание помощи школам и детским учреждениям других ведомств;

— обеспечение (совместно с соответствующей комиссией по делам несовершеннолетних) устройства детей, оставшихся без попечения родителей, в детские дома и школы-интернаты и на воспитание в семьи граждан, осуществление охраны прав несовершеннолетних, осуществление функции по опеке и попечительству в отношении несовершеннолетних, организация работы по предупреждению безнадзорности несовершеннолетних;

— улучшение жилищных и культурно-бытовых условий учителей школ и воспитателей дошкольных и внешкольных учреждений.

4. Отдел народного образования в пределах района, города осуществляет координацию деятельности соответствующих учреждений и организаций по вопросам учебно-воспитательной и методической работы в подведомственных им общеобразовательных школах, детских дошкольных и внешкольных учреждениях и разрабатывает совместно с ними мероприятия по повышению качества обучения и воспитания детей и молодежи в этих школах и учреждениях.

5. Отдел народного образования осуществляет возложенные на него задачи в тесном взаимодействии с профсоюзными, комсомольскими, кооперативно-колхозными организациями, советами содействия семье и школе, родительскими комитетами и другими общественными организациями.

6. Отдел народного образования исполнительного комитета районного, городского Совета депутатов трудящихся

в своей деятельности руководствуется Конституцией СССР и Конституцией Грузинской ССР, законами СССР и Грузинской ССР, постановлениями Верховного Совета СССР и Верховного Совета Грузинской ССР, указами и постановлениями Президиума Верховного Совета СССР и Президиума Верховного Совета Грузинской ССР, постановлениями и распоряжениями Совета Министров СССР и Совета Министров Грузинской ССР, решениями и распоряжениями районного, городского Советов депутатов трудящихся и их исполнительных комитетов по вопросам, относящимся к деятельности отдела народного образования, приказами, инструкциями и указаниями вышестоящих органов народного образования и настоящим Положением.

В автономных республиках отдел народного образования руководствуется в своей деятельности также Конституцией АССР, законодательными актами автономной республики, постановлениями и распоряжениями Совета Министров АССР.

7. Отдел народного образования испольнительного комитета районного, городского Совета депутатов трудящихся в соответствии с возложенными на него задачами:

—обеспечивает завершение перехода ко всеобщему среднему образованию молодежи;

—осуществляет мероприятия по дальнейшему совершенствованию обучения, коммунистического воспитания детей и молодежи в общеобразовательных и специальных школах, школах-интернатах, детских дошкольных и внешкольных учреждениях, детских домах;

—организует и осуществляет в районе, городе вечернее и заочное обучение трудящихся, принимает меры к вовлечению в вечерние (сменные) средние общеобразовательные школы молодежи, не имеющей среднего образования;

—распространяет передовой педагогический опыт работы школ и других учреждений просвещения;

—организует внедрение и использование современных технических средств (кино, радио, телевидения и других

средств обучения) в общеобразовательных школах и других подведомственных учреждениях народного образования;

—осуществляет совместно с органами здравоохранения контроль за соблюдением условий и выполнением мероприятий, обеспечивающих охрану и укрепление здоровья детей в общеобразовательных школах, школах-интернатах, детских домах и других детских учреждениях народного образования;

—обеспечивает проведение в установленном порядке олимпиад, спартакиад, соревнований и других мероприятий учебно-воспитательного характера среди учащихся школ;

—организует внешкольную работу с учащимися по месту их жительства;

—проводит работу по подбору, расстановке, воспитанию и повышению квалификации учителей, воспитателей и других работников просвещения;

—осуществляет контроль за правильностью применения в учреждениях просвещения района, города установленных условий оплаты труда и льгот для работников народного образования;

—осуществляет планирование расходов на народное образование, составляет квартальную и годовую отчетность об исполнении бюджета на указанные расходы;

—осуществляет контроль за финансово-хозяйственной деятельностью подведомственных учреждений народного образования;

—ежегодно проводит тарификацию учителей, воспитателей и других работников народного образования;

—распределяет в установленном порядке фонд всеобуча, осуществляет контроль за его исполнением;

—вносит в исполнительный комитет районного, городского Совета депутатов трудящихся на рассмотрение вопросы о представлений гражданам льгот по содержанию детей в школах-интернатах, интернатах при школах, а также по оплате за питание детей в школах (группах) с продленным днем;

—разрабатывает и представляет на рассмотрение исполнительного комитета районного, городского Совета депутатов трудящихся и вышестоящих органов народного образования мероприятия по укреплению учебно-материальной базы школ и других учреждений народного образования; контролирует наличие фондов, учебников, программ, учебных планов, учебно-наглядных пособий и оборудования; обеспечивает учреждения народного образования инструктивно-методической литературой, экзаменационной документацией, бланками строгой отчетности;

—распределяет выделенное учреждениям народного образования оборудование и другие материалы; осуществляет контроль за использованием их по назначению;

—принимает меры к улучшению благоустройства территорий школ и других учреждений народного образования;

—осуществляет с участием профсоюзных и других общественных организаций работу по распространению педагогических знаний среди населения;

—при необходимости отменяет распоряжения директоров школ и руководителей других подведомственных отделу учреждений, организаций;

—вносит в вышестоящие органы народного образования представления о назначении, перемещении и освобождении, а также назначает, перемещает и освобождает работников в соответствии с утвержденной номенклатурой.

8. Отдел народного образования возглавляет заведующий отделом.

Исполнительный комитет городского, районного Совета депутатов трудящихся назначает по согласованию с Министерством просвещения Грузинской ССР исполняющего обязанности заведующего отделом и отстраняет от исполнения обязанностей с последующим утверждением очередной сессией городского районного Совета.

9. Заведующий отделом народного образования исполнительного комитета районного городского Совета депутатов трудящихся:

—руководит деятельностью отдела, обеспечивает выполнение стоящих перед ним задач;

—вносит на рассмотрение районного, городского Совета и его исполнительного комитета проекты решений и распоряжений по вопросом народного образования;

—издает в пределах компентенции отдела приказы на основании и во исполнение решений и распоряжений районного, городского Совета, его исполнительного комитета, а также актов вышестоящих органов государственной власти, органов государственного управления;

—осуществляет прием граждан и принимает по ним необходимые меры;

—распоряжается кредитами и средствами в пределах установленных смет и ассигнований;

—обеспечивает соблюдение финансово-штатной дисциплины, сохранность денежных средств и материальных ценностей;

—принимает на работу и увольняет в установленном порядке работников отдела народного образования по номенклатуре;

—утверждает планы и отчеты подведомственных отделу учреждений народного образования, составляет периодические и годовые планы и отчеты о работе отдела и представляет их в исполнительный комитет районного, городского Совета депутатов трудящихся, а также вышестоящие органы народного образования.

10. При отделе народного образования, исполнительного комитета районного, городского Совета депутатов трудящихся организуется в качестве совещательного органа Совет из числа работников просвещения и представителей общественности, который принимает участие в обсуждении важнейших вопросов народного образования.

11. Отдел народного образования периодичсски отчитывается в своей работе перед исполкомом районного, городского Совета депутатов трудящихся.

12. Отдел народного образования исполнительного комитета районного, городского Совета депутатов трудящихся состоит на местном бюджете.

13. Отдел народного образования исполнительного комитета районного, городского Совета депутатов трудящихся пользуется правом юридического лица, имеет печать с изображением государственного герба Грузинской ССР.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

F3809

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიების

ბ ა ნ კ ვ ე ნ ი ლ ე ბ ა

1973 წლის 17/19 აპრილი

კალათბურთში საქართველოსა და სსრ კავშირის გოგონათა ნაკრები გუნდების წევრისა და სსრ კავშირის ქალთა ნაკრები გუნდის კანდიდატის სვეტლანა კოროზოვას სახელობის გარდამავალი პრიზის დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიები

ა დ გ ე ნ ე ნ

1. საქართველოსა და სსრ კავშირის გოგონათა ნაკრები გუნდების წევრისა და სსრ კავშირის ქალთა ნაკრები გუნდის კანდიდატის, ქ. თბილისის 82-ე საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე სვეტლანა კოროზოვას სახელის უკვდავსაყოფად 1973 წლიდან დაწესდეს საშუალო ასაკის მოსწავლე გოგონათა რესპუბლიკური შეჯიბრების ჩატარება კალათბურთში ს. კოროზოვას სახელობის გარდამავალ პრიზზე.

2. ს. კოროზოვას სახელობის გარდამავალ პრიზზე საშუალო ასაკის გოგონათა რესპუბლიკური შეჯიბრების ჩატარება კალათბურთში დაეკალოს ბავშვთა და მოზარდთა უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკურ სკოლას, რომელმაც უზრუნველყოს აღნიშნული შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩატარება და სათანადო პრიზის შეძენა.

3 საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილებამ სპორტულ ღონისძიებათა რესპუბლიკურ კალენდარში ყოველწლიურად გაითვალისწინოს ს. კორობოვას სახელობის გარდამავალ პრიზზე საშუალო ასაკის მოსწავლე-გოგონათა რესპუბლიკური შეჯიბრების ჩატარება კალათბურთში.

საქართველოს სსრ განათლების მ ი ნ ი ს ტ რ ი თ. ლაშქარაშვილი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავ-რე ფ. მახარაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წ. 11 მაისის გრძანება № 339

მცხეთის რაიონის სალამოს სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

მცხეთისა და ქსნის სალამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობის შემოწმებამ ცხადყო, რომ ხსენებულ სკოლებს ერთგვარი წარმატებები აქვთ მოპოვებული სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში: სკოლები მოთავსებულია საკუთარ შენობებში და უზრუნველყოფილია სასწავლო-მატერიალური ბაზით, აღრიცხულია რაიონის წარმოება-დაწესებულებებში დასაქმებული რვაკლას და საშუალო განათლების არმქონე მომუშავე ახალგაზრდები და პერსპექტიული გეგმის შესაბამისად ჩაბმული არიან სწავლებაში.

სკოლები მუშაობენ წინასწარ შედგენილი წლიური და პედაგოგიური საბჭოს ნახევარწლიური სამუშაო გეგმის მიხედვით, გეგმები მოფიქრებულადაა შედგენილი და მოიცავს ყველა საჭირო საკითხს. რეგულარულად ტარდება პედაგოგიური საბჭოს სხდომები. მცხეთის სალამოს საშუალო სკოლაში პედაგოგიური საბჭოს სხდომები დღემდე ჩატარებულია 6-ჯერ, სხდომებზე გატანილი ზოგიერთი საკითხი კრიტიკულადაა განხილული და მიღებული ღონე ძიებაც ყოფილა.

მცხეთის სალამოს საშუალო სკოლაში (დირექტორი გ. ბარისაშვილი) კარგადაა შედგენილი და გაფორმებული გაკვეთილებისა და კონსულტაციების ჩატარების ცხრილი, ჩანაწერების, საკონტროლო წერებისა და ახალ პროგრამებზე გადასვლის გრაფიკი, სისტემატურად გამოდის კარგად გაფორმებული მასწავლებელთა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწავლეთა კედლის გაზეთი, წესრიგშია რვა კლასის დამთავრების, მოწმობებისა და საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატების მიღებისა და მოსწავლეებზე გაცემის აღრიცხვის წიგნი და სხვ.

დამაკმაყოფილებლად მუშაობს მცხეთის საღამოს საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნ. თათარაშვილი, ის საგნის კარგი მცოდნეა, ფლობს გადაცემ ს ხერხებსა და მეთოდებს, მეტყველებს გამართული ენით, დამაჯერებელი ტონით და კარგი დიქციით. ასევე დამაკმაყოფილებლად მუშაობენ ქსნის საღამოს საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ა. ბაშარული, მათემატიკის მასწავლებელი ბ. სიგუა, რუსული ენის მასწავლებლები ლ. ევინზონი და რ. კიკალეიშვილი. მასწავლებელი ლ. ევინზონი კარგად ფლობს საგანს, მისი სწავლების მეთოდებს, გაკვეთილებზე იყენებს საღმზრდელო მომენტებს, ის ახერხებს კლასშიც შეასწავლოს მოსწავლეებს ძირითადი პროგრამული მასალა.

მცხეთის საღამოს საშუალო სკოლის დირექტორი სისტემატურად ესწრება გაკვეთილებს და მასწავლებლებს აძლევს მეთოდურად სწორ მითითებებს.

საღამოს სკოლების მუშაობის საკითხი ხშირად იხილეა საქ. კპ მცხეთის რაიკომის ბიუროსა და რაისაბჭოს აღმასკომის სხდომებზე.

მიუხედავად აღნიშნულისა, რაიონის საღამოს საშუალო სკოლების მუშაობაში შეინიშნება სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებები:

დიდია მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების გაცდენის შემთხვევები; მცხეთის საღამოს საშუალო სკოლაში პირველ სემესტრში გაცდენილ 1915 საათიდან არასაპატიო მიზეზით გაცდენილია 1305 საათი, შემოწმების დღეს 116 მოსწავლიდან გაკვეთილებს ესწრებოდა 77 მოსწავლე. ანალოგიური მდგომარეობაა ქსნის საღამოს საშუალო სკოლაშიც (დირექტორი ზ. გელაშვილი), პირველ სემესტრში ამ სკოლაში გაცდენილია 5722 საათი, არასაპატიო მიზეზით კი 3533 საათი, შემოწმებისას 130 მოსწავლიდან გაკვეთილებს მხოლოდ 67 მოსწავლე ესწრებოდა. ა/წლის 11 თებერვალს მოსწავლეთა გამოუცხადებლობის გამო სწავლა ნახევარი საათის დაგვიანებით დაიწყო. ზოგიერთ კლასში კი პირველი გაკვეთილი არ ჩატარებულა.

მოუვლელია მოსწავლეთა პირადი საქმეები და საკლასო ჟურნალები, მოსწავლეთა შეფასება არ ხდება ობიექტურად, მათ მიერ გაკვეთილებზე დასწრების აღრიცხვა ზუსტად არ წარმოებს (კლასის ხელმძღვანელი თ. ხუბესოვი).

კლასის ხელმძღვანელთა სასწავლო-საალმზრდელო გეგმები ზოგადი და ერთფეროვანია, არ ითვალისწინებს საღამოს სკოლის მუშაობის თავისებურებას, მოსწავლეთა დიდი ნაწილი სახელმძღვანელოებს სკოლაში არ ატარებს.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს მცხეთის საღამოს საშუალო სკოლის რუსული ენის შემცვლელი მასწავლებელი ნ. გორდა, ის არ იცნობს რუსული ენის პროგრამას, მე-10 კლასში გასავლელ ზოგიერთ მასალას, მე-9 კლასში ასწავლის, გაკვეთილებზე აწარმოებს გრამატიკული მასალის მხოლოდ დახვეპირებას, არ იყენებს თვალსაჩინოებას და წერით სავარჯიშოებს სისტემატურად არ ატარებს. მათემატიკის მასწავლებელი მ. ჩილოშვილი მოსწავლეთა ნამუშევრებს ლიბერალურად აფასებს, ჩათვლებს ფორმალურ ხასიათს აძლევს, VIII, X, XI კლასების მოსწავლეთა ცოდნის დონე მათემატიკაში დაბალია. ასევე დაბალია VIII—X კლასების მოსწავლეთა ცოდნის დონე ქიმიაში (მასწავლებელი ვ. მეტრეველი), მოსწავლეები ვერ წერენ ქიმიური ელემენტების ნიშნებს, ნივთიერებათა ფორმულებს, ვერ ამჩნევენ ატომს, მოლეკულას, ნივთიერებას, წარმოდგენა არ აქვთ ატომის აგებულებაზე და სხვ. ანალოგიური მდგომარეობაა ისტორიაშიც (მასწავლებლები თ. ხუბეროვი, ა. ზურაბიშვილი).

სუსტად მუშაობენ აგრეთვე ქსნის საღამოს საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებლები გ. წითლიძე და ვ. დოლიძე, ისინი არ ასრულებენ განათლების სამინისტროს მითითებებს წერითი მუშაობის ნორმებისა და სახეების შესახებ, არ ატარებენ საკონტროლო წერებს დაწესებული ნორმების მიხედვით, არ ემზადებიან გაკვეთილებისათვის და სხვ. მასწავლებელი გ. წითლიძე საგანს დაუფლებული არ არის. ამავე სკოლის ბუნებისმეტყველების მასწავლებელი ს. სოკუროვა ვერ ფლობს ქართულ ენას, რის გამო ცნების გამოთქმისას უშვებს შეცდომებს, ასევე არასწორ გამოთქმებს ხმარობს ქიმიის მასწავლებელი ა. მღებრიშვილი. სკოლაში ქიმია-ბიოლოგიის სწავლებისათვის მცირეა სადემონსტრაციო მა-

ალა. სუსტად მუშაობს ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებელთა მეთოდური გაერთიანება, გეგმით გათვალისწინებული 6 საკითხიდან მხოლოდ 1 საკითხია შესრულებული და ისიც სახელმძღვანელოდანაა გადმოწერილი. მასწავლებლებს არასწორად აქვთ გაგებული ჩათვლების წარმოება.

ადგილი აქვს მასწავლებელთა მიერ შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევებს: ქსნის საღამოს საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი ვ. დოლიძე სისტემატურად აცდენს გაკვეთილებს, მიუხედავად მრავალგზის გაფრთხილებისა და საყვედურებისა, ის კვლავ აგრძელებს გაკვეთილების უმიზეზოდ გაცდენას. ასევე ხშირად აცდენენ გაკვეთილებს მასწავლებლები ს. სოკუროვი, ა. ბაშარული და ვ. მეგრელიძე.

სუსტია სასწავლო მუშაობის დარგში სკოლის დირექტორების მოადგილეების ხელმძღვანელობა და კონტროლი მასწავლებელთა მუშაობაზე. ისინი იშვიათად ესწრებიან გაკვეთილებს და დასწრების შედეგად ვერ აძლევენ მასწავლებლებს სწორ, პედაგოგიურად გამართულ რჩევა-დარიგებებს.

მცხეთის საღამოს საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში ვ. მეტრეველი სუსტად ხელმძღვანელობს სასწავლო მუშაობას, არ იცნობს მითითებას სასწავლო პროცესის ორგანიზაციის შესახებ, წარმოდგენა არ აქვს ჩათვლების, კონსულტაციებისა და ფაკულტატიური მეცადინეობის სისტემაზე. მის მიერ მოსმენილი გაკვეთილების ანალიზი არაფრისმთქმელია. ვ. მეტრეველი სათანადო დახმარებასა და ხელმძღვანელობას ვერ უწევს მასწავლებლებს.

სუსტია რაიონის განათლების განყოფილებისა და მეთოდკაბინეტის დახმარება და ხელმძღვანელობა საღამოს სკოლების მუშაობაზე, პედაგოგიური კაბინეტი არ იცნობს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წლის 23 ივლისის № 463 ბრძანებას „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებელთა მეთოდური მუშაობის შესახებ“, მეთოდკაბინეტთან დღემდე არ არის შექმნილი საღამოს სკოლების მასწავლებელთა საგნობრივი გაერთიანება და სხვ.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. მცხეთისა და ქსნის საღამოს საშუალო სკოლების დირექტორებმა:

ა) საფუძვლიანად შეისწავლონ ცალკეული სასწავლო დისციპლინის სწავლების მდგომარეობა, გამოავლინონ სწავლებაში არსებული ნაკლოვანებანი, შემოწმების შედეგები განიხილონ პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე და მდგომარეობის მკვეთრად გაუმჯობესების მიზნით გაატარონ საჭირო ღონისძიებანი;

ბ) გადამჭრელი ზომები მიიღონ მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით, თვალსაჩინოებითა და სხვა სასწავლო ნივთებით უზრუნველსაყოფად;

გ) ცალკე სასწავლო დისციპლინების მასწავლებელთა მუშაობა იმგვარად წარმართონ, რომ ისინი სისტემატურად ემზადებოდნენ ყოველი გაკვეთილისათვის, აღწევდნენ მოსწავლეთა აკადემიურ წარმატებას და ცოდნის ობიექტურ შეფასებას;

დ) წარმოება-დაწესებულებებთან მტკიცე კავშირის დამყარებით აღკვეთონ მოსწავლეთა მიერ არასაპატიო მიზეზით გაკვეთილების გაცდენის შემთხვევები;

ე) არასაპატიო მიზეზით გაკვეთილების გამცდენ მასწავლებელთა წინააღმდეგ გაატარონ კანონით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება;

ვ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ წერის ნორმების შესრულებას, საწერი თემებისა და სახეების შერჩევას და ნაშრომების გულდასმით გასწორების საქმეს;

ზ) სასწავლო წლის ბოლომდე შეისწავლონ ამ ბრძანებაში აღნიშნულ სუსტად მომუშავე მასწავლებელთა მუშაობა და თუ ვერ შეძლებენ მუშაობის არსებითად გაუმჯობესებას, სათანადო წესის დაცვით დააყენონ საკითხი სამუშაოდან მათი განთავისუფლების შესახებ;

2. მცხეთის რაიონის განათლების განყოფილების გამგემ ვ. ცანავამ:

ა) მკვეთრად გააუმჯობესოს საღამოს სკოლების მუშაობისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი, პედაგოგიურ კაბინეტთან ერთად შეისწავლოს საღამოს სკოლების მუშაობა, შემოწმების შედეგები განიხილოს განათლების საბჭოს სხდომაზე და გაატაროს ქმედითი ღონისძიებანი მდგომარეობის გამოსასწორებლად;

ბ) დაინტერესებულ წარმოება-დაწესებულებებთან ერთად შეისწავლოს საღამოს სკოლების მუშაობა, შემოწმების შედეგები განიხილოს სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე და გაატაროს ქმედითი ღონისძიებანი მდგომარეობის გამოსასწორებლად;

ბ) დაინტერესებულ წარმოება-დაწესებულებებთან ერთად შეისწავლოს საღამოს სკოლებში მოსწავლეთა მიერ გაკვეთილებზე ხშირი გაცდენების მიზეზები და მდგომარეობის მკვეთრად გაუმჯობესების მიზნით გაატაროს საჭირო ღონისძიება;

გ) შეისწავლოს სუსტად მომუშავე მასწავლებლები და ისინი, რომლებიც ვერ ართმევენ თავს მუშაობას, მოქმედი წესის დაცვით, გაათავისუფლოს სამუშაოდან ა/წლის 20 აგვისტოდან.

3. მცხეთის საღამოს საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილეს სასწავლო მუშაობის დარგში ვ. მეტრეველს სასწავლო-საღამოზდელო მუშაობის არადამაკმაყოფილებლად დაყენებისათვის გამოეცხადოს სასჯელი საყვედური.

4. მცხეთის მეთოდკაბინეტის გამგეს ამხ. თ. ტოგონიძეს საღამოს სკოლებისადმი სუსტი ხელმძღვანელობისათვის გამოეცხადოს საყვედური.

5. ქსნის საღამოს საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელ ო. დოლიძეს სუსტი მუშაობისათვის გამოეცხადოს საყვედური.

6. მცხეთის საღამოს საშუალო სკოლის მასწავლებლებს ა. ზურაბაშვილსა და თ. ხუბეროვს არადაკმაყოფილებელი მუშაობისათვის მიეთითოთ.

7. საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველომ (ამხ. ვ. ჩინჩალაძე) საჭირო კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე. მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში მოახდინოს ამ ბრძანების შესრულების შემოწმება.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1973 წლის 10 მაისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წ. 23 მაისის ბრძანება № 368

წალენჯიხის რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესწავლის შედეგების თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წლის 4 მაისის № 287 ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შემოწმების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმით გათვალისწინებულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1972 წლის 4 მაისის ბრძანების — „წალენჯიხის რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესწავლის შედეგების შესახებ“ შესრულების მიმდინარეობის შემოწმება და საკითხის კოლეგიის სხდომაზე განხილვა.

საქართველოს კპ წალენჯის რაიკომის ბიურომ 1973 წლის 28 მარტს იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე, სუსტი მუშაობისათვის და დარღვევებისათვის ჭალის საშუალო სკოლის დირექტორი (ფახულანის საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორი) გ. ძაძამია გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან, ხოლო წალენჯიხის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ვ. ბელქანიას მუშაობაში არსებული მთელი რიგი ნაკლოვანებებისათვის გამოუცხადა სასტიკი საყვედური

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. რადგანაც საქართველოს კპ წალენჯიხის რაიკომის ბიურომ ახლახან, 1973 წლის 28 მარტს, უკვე განიხილა რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის საკითხი და გაატარა საჭირო ღონისძიებები, ამჟამად მიზანშეუწონლად ჩაითვალოს აღნიშნული საკითხის შემოწმება და განათლების სამინისტროს კოლეგიაზე განხილვა.

2. წალენჯიხის რაიონის განათლების განყოფილებამ (ამხანაგ-ბელქანიამ):

ა) გადაჭრით გააუმჯობესოს განათლების განყოფილების საქმიანობა, აამაღლოს ინსპექტორ-მეთოდისტების პირადი პასუხისმგებლობა დაკისრებული მოვალეობისადმი, გააძლიეროს ხელმძღვანელობა, დახმარება და კონტროლი რაონის სკოლების და სხვა საბავშვო დაწესებულებებისადმი;

ბ) შეისწავლოს და გადაწყვიტოს ჭ. შონიას მასწავლებლად დატოვების შესაძლებლობის საკითხი.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1973 წლის 10 მაისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წ. 23 მაისის ბრძანება № 374

სასკოლო და საბავშვო დაწესებულებათა ობიექტების მშენებლობის 1973 წლის გეგმების შესრულების მიმდინარეობისა და მშენებლობაზე დაშვებული მიწერების შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ სასკოლო და საბავშვო დაწესებულებათა ობიექტების მშენებლობის 1973 წლის გეგმა მოიჯარადრე მშენებელი ორგანიზაციების მიერ მიმდინარე წლის 1 მაისისათვის შესრულებულია—25%-ით (გეგმა 14737.0 ათ. მანეთი, შესრულება 3901.8 ათ. მანეთი), მათ შორის.

—სასკოლო მშენებლობაზე - 26%-ით (გეგმა 12639.0 ათ. მანეთი, შესრულება—3225.0 ათ. მანეთი).

საბავშვო ბაგა-ბაღების მშენებლობაზე—39%-ით (გეგმა 1348.0 ათ. მანეთი, შესრულება—529.0 ათ. მანეთი).

—საბინაო მშენებლობაზე—20%-ით (გეგმა 750.0 ათ. მანეთი, შესრულება—148.0 ათ. მანეთი).

ჩამორჩენის ძირითადი მიზეზი იმაშია, რომ გასაშვები სასკოლო მშენებლობის ობიექტებზე მშენებლების მიერ არ არის თავმოყრილი საჭირო სამშენებლო მასალები, რკინა-ბეტონის ანაკრები კონსტრუქციები, მექანიზმები და როგორც კვალიფიცირებული, ისე დამხმარე მუშახელი, რის გამო ნელი ტემპით მიმდინარეობს მშენებლობა, ხოლო ზოგიერთ ობიექტზე 1 მაისისთვის ჯერაც არ იყო დაწყებული განათლების ობიექტების მშენებლობა ნაცულში, ოქტომბერში, უჩამბაში, ახალქალაქში, პატარა ცემში, ჩოლურში, ბალიჭში, ოდიშში, მოქვში, გზიფსა და სოხუმში, რაც საფრთხის წინაშე აყენებს მშენებლობის დროულად დამთავრებისა და სიმძლავრეთა ექსპლოატაციაში გადაცემის სახელმწიფო გეგმების შესრულების საქმეს.

ზოგიერთი მოიჯარადრე მშენებელი ორგანიზაციის დაბრალი-ნისტროს ინჟინერ-ტექზედამხედველის საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო 1973 წელს დაშვებული იყო შეუსრულებელი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მიწერები.

ასე მაგალითად, ამბროლაურის რაიონის ბუგეულის სკოლის მშენებლობაზე სამუშაოთა მწარმოებელ ი. ტყეშელაშვილის და ინჟინერ-ტექზედამხედველ შ. ღვალაძის მიერ დაიჭეტებული და გადახდილ იქნა შეუსრულებელი სამუშაოების ღირებულება 1.1 ათ. მანეთის ოდენობით.

გორის რაიონის სოფ. ხიდისთავის, ქარელის რაიონის სოფელ ბებნისის, რუისისა და ხაშურის სკოლების მშენებლობაზე შეუსრულებელი იყო მთელი რიგი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისა, რომელიც ფაქტიურად დაიჭეტებულია, როგორც შესრულებული მოიჯარადრე მშენებელი ორგანიზაციისა და ინჟინერ-ტექზედამხედველის ე. რობაქიძის მიერ ღირებულებით—9,0 ათ. მანეთი.

ბორჯომის რაიონის დაბა წაღვერის ბაკა-ბაღის მშენებლობაზე ინჟინერ ტექზედამხედველ ა. კახიძისა და საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 12 ტრესტის სამუშაოთა მწარმოებელ ე. ტაბატაძის მიერ დაშვებულია შეუსრულებელი სამუშაოების მიწერები 2-3 ათ. მანეთისა და მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ზეკანის სკოლის მშენებლობაზე 1.4 ათ. მანეთის ოდენობით.

მიწერების ფაქტებია გამოვლინებული აგრეთვე ბათუმის სკოლების მშენებლობაზე—9.0 ათ. მანეთი, ქობულეთის სკოლის მშენებლობაზე—3.468 ათ. მანეთი, მაიაკოვსკის რაიონის ვარციხის სკოლის მშენებლობაზე—1.5 ათ. მანეთი, მახარაძის რაიონის კონჭკათის სკოლის მშენებლობაზე—5.6 ათ. მანეთი, გლდანის № 1 სკოლა-ინტერნატის მანექის მშენებლობაზე—3.3 ათ. მანეთი და სხვ.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია

ა დ გ ე ნ ს

1. ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, დაავალოს საქ. სსრ მშენებლობის, სასოფლო მშენებლობის სამინისტროებს, „საქმთავარკოლმშენს“ სპეციალურად განიხილონ სასკოლო და საბავშვო დაწესებულებათა ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობის მდგომარეობა და მიიღონ გადამჭრელი ზომები მიმდინარე წელს გასაშვები ობიექტების მშენებლობისა და სიმძლავრეთა ექსპლოატა-

ციაში გადაცემის სახელმწიფო გეგმების დანიშნულ ვადებში შესრულებისათვის.

2. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა:

ა) მიიღონ გადამჭრელი ზომები 1973 წლის II და III კვარტალში ექსპლოატაციაში გასაშვები ობიექტების მშენებლობის დაჩქარებისა და მათი საჭირო ინვენტარ-მოწყობილობით უზრუნველყოფისათვის.

3. ქარელის რაიონის სოფ. რუისის და ბებნისის, გორის რაიონის სოფელ ხიდისთავის და ქ. ხაშურის სკოლების მშენებლობებზე დაშვებული შეუსრულებელი სამუშაოების მიღებისა და 9.040 ათ. მანეთის მიწერისათვის სამინისტროს ინჟინერ-ტექზედამხედველ უ. რობაქიძეს გამოეცხადოს სასტიკი საყვედური.

4. ინჟინერ-ტექზედამხედველ ა. კახიძეს სასკოლო და საბავშვო დაწესებულებათა ობიექტების მშენებლობებზე დაუმთავრებელი სამუშაოების მიღების მიწერისა და ზედმეტად—3.7 ათ. მანეთის გადახდისათვის გამოეცხადოს საყვედური.

5. ინჟინერ-ტექზედამხედველ ზ. ფინთურიას, გლდანის სპორტული სკოლა-ინტერნატის მანეჟის მშენებლობაზე დაუმთავრებელი სამუშაოების მიღებისა და მიწერის და ზედმეტად 3.3 ათ. მანეთის გადახდისათვის გამოეცხადოს საყვედური.

6. ინჟინერ-ტექზედამხედველ ნ. დგებუაძეს ქ. ფოთის სკოლის მშენებლობაზე დაშვებული მიწერისათვის 7.1 ათ. მანეთის ოდენობით გამოეცხადოს საყვედური.

7. დაევალოს აჭარის ასსრ განათლების მინისტრს ამხ. ვ. წულუკიძეს, სპეციალურად განიხილოს სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე ქ. ბათუმის და ქობულეთის სკოლების მშენებლობებზე დაშვებული მიწერების ფაქტები და მიღებული ზომების შესახებ აცნობოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს.

8. დაევალოს მახარაძის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს ამხ. ხ. ხავთასს, განიხილოს სოფ. კონჭკათიხ სკოლის მშენებლობაზე დაშვებული მიწერების ფაქტები და მიღებული ზომების შესახებ აცნობოს საქართველოს სსრ განათლებიხ სამინისტროს.

9. ვანის რაიონის სოფ. ტობანიერის და მაიაკოვსკის სკოლების მშენებლობაზე დაშვებული შეუსრულებელი სამუშაოების მი-

ლებისა და მიწერისათვის ვანის და მაიაკოვსკის სახალხო განათ-
ლების განყოფილებების გამგეებს ამხ. მ. ხარძეიშვილს და ამხ.
ვ. გიორგობიანს მიეთითოთ.

10. გაფრთხილებულ იქნენ ამბროლაურის, ბორჯომის, ქარელის, ხაშურის, გორის და ქ. ფოთის სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეები, რომ არ დაუშვან შეუსრულებელ სამუშაოებზე მიწერები.

11. დაევალოს სამინისტროს ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების ყველა ინჟინერს:

ა) არ დაუშვან შეუსრულებელი, დეფექტებით და უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების მიღება-დააქტება.

12. კაპიტალური მშენებლობის სამმართველომ (ს. უჩანეიშვილი):—დააწესოს მკაცრი კონტროლი ინჟენრ-ტექზედამხედველების მუშაობაზე.

მოახსენოს კოლეგიას განათლების ობიექტების მშენებლობის 1973 წლის 5 თვის გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ა/წლის 10 ივნისამდე.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წ. 1 ივნისის ბრძანება № 388

თელავის რაიონის სოფელ ყარაჯალის ქართულ საშუალო სკოლასთან აზერბაიჯანული სექტორის გახსნის შესახებ

თელავის რაიონის სოფელ ყარაჯალაში მცხოვრები აზერბაიჯანული მოსახლეობის ერთი ნაწილი ითხოვს ქართულ საშუალო სკოლასთან აზერბაიჯანული სექტორის გახსნას. აღნიშნული მოსახლეობის თხოვნის დასაკმაყოფილებლად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. თელავის რაიონის სოფელ ყარაჯალის ქართულ საშუალო სკოლასთან 1973—74 ს/წლიდან გაიხსნას აზერბაიჯანული სექტორი.

2. 1973—74 სასწავლო წელს აზერბაიჯანულ სექტორზე მოსწავლეთა მიღება აწარმოონ მოსამზადებელ და პირველ კლასებში კლასების დაკომპლექტების არსებული წესის დაცვით და მშობელთა სურვილის გათვალისწინებით.

3. თელავის რაიონის განათლების განყოფილებამ (ამხ. ა. თვალიაშვილმა) უზრუნველყოს ყარაჯალის საშ. სკოლის აზერბაიჯანული სექტორის დაკომპლექტება შესაფერისი კადრებით.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი
1973 წლის 30 მაისი

ს ა ს წ ა ვ ლ ო გ ე გ მ ა

თელავის რაიონის სოფელ ყარაჯალის ქართული დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლისა 1973—1973 სასწავლო წლისათვის

№№ რიგზე	საგნების დასახელება	საათების რაოდენობა კვირაში კლასების მიხედვით										
		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	კვირეულად საათების რაოდენ.
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
1	ქართული ენა	11	8	7	4	4	4	3	2	—	—	43
2	ქართული ლიტერატურა	—	—	—	2	3	2	2	2	4	3	18
3	აზერბაიჯანული ენა	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	20
4	რუსული ენა და ლიტერატურა	—	5	5	5	5	4	4	4	3	3	38
5	მათემატიკა	6	6	6	6	6	6	6	5	6	6	59
6	ისტორია	—	—	—	2	2	2	3	3	4	3	19

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
7	საზოგადოებათმცოდნეობა	—	—	—	—	—	—	—	—	—	2	2
8	ბუნებისმცოდნეობა	—	1	2	1	—	—	—	—	—	—	4
9	გეოგრაფია	—	—	—	—	2	3	2/3	2	2	—	11.5
10	ბიოლოგია	—	—	—	—	2	2	2	2	1	2	11
11	ფიზიკა	—	—	—	—	—	2	2	3	4	5	16
12	ასტრონომია	—	—	—	—	—	—	—	—	—	1	1
13	ხაზვა	—	—	—	—	—	—	1	2	—	—	3
14	ქიმია	—	—	—	—	—	—	2	2	3	3	10
15	უცხო ენა	—	—	—	—	2	2	2/1	1	2	1	9.5
16	სახვითი ხელოვნება	1	1	1	1	1	1	—	—	—	—	6
17	სიმღერა და მუსიკა	1	1	1	1	1	1	—	—	—	—	6
18	ფიზიკური კულტურა	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	20
19	შრომითი სწავლება	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	10
20	დაწყებითი სამხედრო მომზადება	—	—	—	—	—	—	—	—	2	2	4
	ს უ ლ	24	27	27	27	33	34	34	33	36	36	311

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
21	პრაქტიკა (დღეები)	—	—	—	—	5	5	5	—	18	—	
22	ფაკულტატიური მეცადინეობა	—	—	—	—	—	—	—	2	3	3	

სკოლების სამმართველოს
უფროსი რ. კანდელაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წ. 4 ივნისის ბრძანება № 390

მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა აღრიცხვის, დანიშვნის, გადაყვანისა და დათხოვნის მდგომარეობის შ მოწმების შედეგების შესახებ კასპისა და ქარელის რაიონებში

კასპისა და ქარელის რაიონების განათლების განყოფილებები ძირითადად სწორად აწარმოებენ მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა აღრიცხვას, დანიშვნას, გადაყვანას და დათხოვნას. ამასთან ერთად, ამ საქმეში მათ გააჩნიათ სერიოზული ნაკლოვანებები. ამ რაიონების განათლების განყოფილებებს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წლის № 65 ბრძანების შესაბამისად, დადგენილ ვადაში სრულ წესრიგში არ მოუყვანიათ მასწავლებელთა პირადი საქმეები და პირადი ბარათები.

კასპის რაიონის განათლების განყოფილებაში არ იყო შედგენილი განყოფილების აპარატის მუშაკთა პირადი საქმეები, არ იყო შევსებული შრომის წიგნაკები (გამგე ო. გორჯოლაძე), ასევე არ იყო შევსებული ქარელის რაიონის განათლების განყოფილების მუშაკთა შრომის წიგნაკები (გამგე ნ. გოგიჩაშვილი).

ცალკეული სკოლების შემოწმებით გამოირკვა, რომ ბევრ მასწავლებელს აკლია პირადი საქმე და შრომის წიგნაკი, ან თუ აქვთ, არასრულადაა შედგენილი და შევსებული. კასპის რაიონის დოესის საშუალო სკოლის 36 და თელათგორის რვაწლიანი სკოლის 10 მასწავლებლიდან არცერთს არ ჰქონდა პირადი ბარათი. დოესის საშუალო სკოლის 17 და თელათგორის რვაწლიანი სკო-

ლის 5 მასწავლებელს პირად საქმეში აკლდა სხვადასხვა დოკუ-
მენტები. კასპის მეორე საშუალო სკოლიდან 8 მასწავლებელს აკ-
ლია პირადი ბარათი, 4 – შრომის წიგნაკი. საერთოდ, კასპის რაი-
ონის სკოლების მასწავლებელთა უმრავლესობას არა აქვს შევსე-
ბული პირადი ბარათები.

ქარელის რაიონის ბრეთის საშუალო სკოლის 6 და ქარელის
მე-3 საშუალო სკოლის 14 მასწავლებლის პირადი საქმე მოუ-
წესრიგებელია.

ქარელის მე-3 საშუალო სკოლის საქმეები გადატვირთულია
ზედმეტი დოკუმენტებით. ასე მაგალითად, ქარელის მე-2 საშუალო
სკოლის ისტორიის მასწავლებლის ი. კოკოზაშვილის პირად საქ-
მეში ინახება 37 სხვადასხვა საბუთი, მათ შორის ყოველ წელს
გაცემული ცნობა სკოლაში მუშაობის შესახებ, 4 ცალი პირადი
ბარათი, 3 ავტობიოგრაფია, რამოდენიმე წლის წინათ გაცემული
ცნობები სამედიცინო შემოწმების შესახებ და სხვ. სასკოლო ინს-
პექტორ მ. ჭანიშვილის პირად საქმეში ინახება 19 ცნობა, ბრძანე-
ბის 9 ამონაწერი, 3 პირადი ბარათი, 3 დახასიათება. მოუწესრი-
გებელია მეთოდისტ ა. მწარიაშვილის, სასკოლო ინსპექტორების
თ. ხუციშვილისა და ა. რუსაშვილის პირადი საქმეები. განათლების
განყოფილების მეთოდკაბინეტის გამგეს ც. ჩილაჩავას, რომელსაც
უმუშავნია ქ. გორის, ხაშურისა და ქარელის რაიონების სხვადა-
სხვა დაწესებულებებში, შრომის წიგნაკში ჩანაწერი გაკეთებული
აქვს მხოლოდ უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან.

აღნიშნული რაიონების სკოლებში ზოგჯერ მასწავლებლებად
ინიშნებიან შეუფერებელი განათლების ცენზის მქონე პირები. ასე
მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკის ფა-
კულტეტის კურსდამთავრებული ნ. კაკალაშვილი კასპის რაიონის
განათლების განყოფილების მიერ დანიშნულია ქვემო ხანდაკის რვა-
წლიანი სკოლის ქიმიის მასწავლებლად 4 გაკვეთილზე, პოლიტექ-
ნიკური ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტი ა. ჯანვერდაშვილი
დანიშნულია თელათგორის რვაწლიანი სკოლის ფიზიკის მასწავლებ-
ლად. მცირე რაოდენობის გაკვეთილებზე დანიშნული არიან აგრე-
თვე ქვემო გომის რვაწლიანი სკოლის ისტორიის მასწავლებლად
ნ. დეისაძე და ქარელის მე-2 საშუალო სკოლის გეოგრაფიის მას-
წავლებლად თ. კობალაძე. კასპის მე-2 საშუალო სკოლის ავტო-

საქმის მასწავლებლად დანიშნულია ზოგადი საშუალო განათლების მქონე შ. ახლოური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარელის რაიონის სოფლაშნის რვაწლიანი სკოლის ფიზკულტურის მასწავლებლად დანიშნულია მეორე კურსის სტუდენტი ვ. ჯაფიაშვილი, რუისის რვაწლიანი სკოლის დირექტორის მოადგილედ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში—ნ. რაზმიაშვილი, რომელსაც არა აქვს პედაგოგიური მუშაობის საჭირო გამოცდილება.

ქარელის რაიონის საშუალო სკოლებში კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის დარგში ორგანიზატორებად განათლების განყოფილების მიერ დანიშნული არიან ასაკით შეუფერებელი პირები (ახალსოფლის, ავლევის საშუალო სკოლები). ქარელის რაიონის კნოლევის რვაწლიანი სკოლის დირექტორად, განათლების სამინისტროსთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, დანიშნულია თ. ხარაული.

არის შემთხვევები, როდესაც სკოლების დირექტორებად და მათ მოადგილეებად სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში ინიშნებიან ერთნაირი ციკლის, ან ერთიდაიგივე სპეციალობის პირები (ქარელის რაიონის დირბის საშუალო, საციხურის რვაწლიანი, კასპის რაიონის მიქელწყაროს რვაწლიანი სკოლები).

მასწავლებლებისა და სკოლის სხვა მუშაკთა ერთი სკოლიდან მეორე სკოლაში გადაყვანის, განთავისუფლების შესახებ გამოცემულ ზოგიერთ ბრძანებაში არ არის აღნიშნული გადაყვანისა და განთავისუფლების მიზეზი.

ქარელის რაიონის განათლების განყოფილებამ, განათლების სამინისტროსთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, სამუშაოდან გაათავისუფლა განაწილებით მივლინებული ახალგაზრდა სპეციალისტი მ. დაღელაშვილი. ოქროსოფლის რვაწლიანი სკოლის მასწავლებლის პ. ჯიოევის განთავისუფლებაზე არსებობს არა სკოლის ადგილკომის თანხმობა, არამედ სკოლის პროფორგანიზაციის კრების დადგენილება.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. კასპისა და ქარელის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა (ო. გორჯოლაძე, ა. ნ. გოგიჩაშვილი):

ა) მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა დანიშვნის, გადაყვანისა და დათხოვნის საკითხის გადაწყვეტისას მტკიცედ იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1972 წლის 16 ივლისის ინსტრუქციით;

ბ) 1973 წლის 25 ივნისამდე სრულ წესრიგში მოიყვანონ მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა პირადი ბარათები, პირადი საქმეები, შრომის წიგნაკები როგორც სკოლებში, ასევე განათლების განყოფილებებში;

გ) მიიღონ საჭირო ზომები, რომ სკოლების დირექტორებად და დირექტორის მოადგილეებად სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში იყვნენ სხვადასხვა სპეციალობისა და საკმაო გამოცდილების მქონე მასწავლებლები;

დ) ახალგაზრდა სპეციალისტების სამუშაოზე მიღების ან დათხოვნის საკითხის გადაწყვეტისას იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წლის 10 იანვრის № 16 ბრძანებით;

ე) არსებული წესის დაცვით შეცვალონ მათ მიერ დანიშნული შეუფერებელი განათლების მქონე მასწავლებლები შესაფერი სპეციალური განათლებისა და გამოცდილების მქონე მუშაკებით;

ვ) ამ ბრძანების შესრულების შესახებ წერილობითი ანგარიში წარმოუდგინონ განათლების სამინისტროს 1973 წლის 1 აგვისტომდე.

2. მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა აღრიცხვის, დანიშვნის, გადაყვანისა და დათხოვნის საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისათვის კასპის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ო. ა. გორჯოლაძე და ქარელის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ნ. ა. გოგიჩაშვილი მკაცრად იქნენ გაფრთხილებულნი.

3. განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებამ (ი. კვაჭაძე):

ა) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე;

ბ) პერიოდულად შეამოწმოს მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა აღრიცხვის, დანიშვნის, გადაყვანისა და და-

თხოვნის მდგომარეობა რესპუბლიკის სხვა რაიონებსა და ქალაქებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1973 წლის 24 მაისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წ. 4 ივნისის ბრძანება № 391

ზაფხულის არდადეგების პერიოდში მშენებლობასა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უფროსკლასელ მოსწავლეთა მასობრივი მონაწილეობის თაობაზე ზემდგომი ორგანოების არსებული დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ

შემოწმების მასალებით ირკვევა, რომ ზემდგომი ორგანოების აღნიშნული დადგენილების შესასრულებლად ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებისა და სკოლების დირექტორების ერთმა ნაწილმა მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა. აღრიცხულია VIII, IX, X კლასების ის მოსწავლეები, რომლებიც 1973 წლის ზაფხულის არდადეგების პერიოდში იმუშავებენ მშენებლობებსა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებებში; ჩატარებულია შრომით საქმიანობაში ჩასაბმელი მოსწავლეების სამედიცინო შემოწმება, ასევე შესწავლილია მათი ოჯახური პირობები და გათვალისწინებულია მოსწავლეთა პირადი სურვილები; ხელმძღვანელებად შერჩეულია მოწინავე, შრომისმოყვარე და გამოცდილი დირექტორები და მასწავლებლები, ბრიგადებისათვის ცნობილია სამუშაო უბნები, ბიოლოგიური ციკლის საგნების მასწავლებლები ამზადებენ თემატიკას პროგრამის მიხედვით მიღებული ცოდნის პრაქტიკული შრომა-საქმიანობით განმტკიცებისათვის, მზადდება სათანადო მასალები მოხსენებებისა და საუბრებისათვის, განსაკუთრებით პროფორიენტაციისა და შრომითი სწავლების საკითხებზე და სხვ.

აღნიშნულის მიუხედავად, ზაფხულის არდადეგების პერიოდში, მოსწავლეების საზოგადოებრივ—სასარგებლო შრომაში მონაწილეობისათვის მზადების პერიოდში შეინიშნება ნაკლოვანებანი.

ყველა სკოლას ჯერ კიდევ არ შეუმოწმებია მისთვის განკუთვნილი სამუშაო უბნები. განსაკუთრებით კი არ მოწმდება მოსწავლეთა საყოფაცხოვრებო და კულტურულ-მასობრივი ღონისძიებების მზადების მდგომარეობა. ზოგიერთი განათლების განყოფილება და სკოლა სრული პასუხისმგებლობით არ ეკიდება ბრიგადების ხელმძღვანელობისათვის მასწავლებელთა შერჩევის საქმეს. არ ჩანს სკოლების კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორების აქტიური მონაწილეობა ამ დავალების წარმატებით შესრულების საქმეში და სხვ.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებების გამგეებმა:

ა) 1972—1973 სასწავლო წლის საგაზაფხულო გამოცდების დამთავრებამდე შეაჯამონ ზაფხულის არდადეგების პერიოდში მშენებლობებსა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში უფროსკლასელთა მასობრივი მონაწილეობის მზადყოფნის მდგომარეობა და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი;

ბ) პერიოდულად შეამოწმონ მშენებლობებზე, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში მომუშავე მოსწავლეების საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები. ამასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ უსაფრთხოებისა და სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვას;

გ) მოსწავლეთა შრომითი საქმიანობის პროცესში სკოლაში მიღებული თეორიული ცოდნის განმტკიცების მიზნით, ბრიგადების სამუშაო გეგმებში გაითვალისწინონ ისეთი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის, ბუნების დაცვის გაუმჯობესების, შრომითი სწავლებისა და კოლექტიური შრომის ეფექტიურობისა და დისციპლინის ამაღლების ღონისძიებებთან;

დ) განათლების განყოფილების სამუშაო გეგმებში გაითვალისწინონ იმ მოსწავლეთა აღრიცხვა, რომლებიც ზაფხულის არდადეგების პერიოდში არაორგანიზებულად მიდიან სოფლად, მათ ჩაუტარონ სათანადო კონსულტაციები და მისცენ დავალებები—სასოფლო-სამეურნეო შრომაში მონაწილეობის, საჭირბოროტო მასალებისა და წიაღისეულ სიმდიდრეთა ნიმუშების შეგროვების, ხალხური სიტყვიერების ნიმუშების ჩანაწერების წარმოებისა და სხვ. შესახებ;

ე) დახმარება აღმოუჩინონ მშენებლობებისა და მეურნეობების ხელმძღვანელებს შრომით ბრიგადებში კულტურულ-მასობრივი ღონისძიებების მომზადებისა და ჩატარების საქმეში. ამ მიზნით, სათანადო საქმიანი კავშირი დაამყარონ რაიონული საბჭოების კულტურის განყოფილებებთან, მხატვრული და ესთეტიკური აღზრდის ორგანიზაციებთან.

2. სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკმა):

ა) შეამოწმოს ზაფხულის არდადეგების პერიოდში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უფროსკლასელ მოსწავლეთა საქმიანობა მშენებლობებსა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებებში და შედეგები წარმოუდგინოს კოლეგიას;

ბ) შეიმუშაოს წინადადებანი ქალაქებსა და რაიონებში ზაფხულის არდადეგების პერიოდში შრომითი ბრიგადების მიერ შესრულებული სამუშაოების აღრიცხვისა და დაჯამების შესახებ.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ო. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1972 წლის 5 ივნისის ბრძანება № 395

გურჯაანის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სკკპ XXIV ყრილების დირექტივების შესრულების მიმდინარეობისა და ახალ სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებზე გადასვლის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ

სკოლების სამმართველოს ბრიგადის მოხსენებითი ბარათიდან ჩანს რომ გურჯაანის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გარკვეული მუშაობა ტარდება სკპ XXIV ყრილობის დირექტივებით სახალხო განათლების დარგში დასახული ამოცანების შესასრულებლად და ახალ სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებზე გადასვლის უზრუნველსაყოფად.

ჩვენში სათანადო ყურადღება ექცევა სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცებას. უკანასკნელ წლებში კოლმეურნეობის სახსრებით აიგო კალაურის, შაშიანისა და ველისციხის საშუალო და კოლაგის რვაწლიანი სკოლების შენობები, კაპიტალური დაბანდებისა და რემონტის ხარჯებით აშენდა ახაშნისა და კარდენახის საშუალო სკოლების შენობები. ამჟამად, კოლმეურნეობების სახსრებით, მიმდინარეობს ველისციხის სკოლის მეორე კორპუსისა და ჩუმლაყის სკოლის მშენებლობა.

განათლების განყოფილება გარკვეულ დახმარებას უწევს განსაკუთრებით იმ მასწავლებლებს, რომლებიც ახალი სასწავლო პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით მუშაობენ.

შემოწმებული სკოლების მასწავლებელთა ერთი ნაწილისათვის კარგადაა ცნობილი ის სიახლენი, რომლებიც ახალი სასწავლო გეგმებითა და პროგრამებით მიშაობასთან არის დაკავშირებული.

ზემოხსენებულის მიუხედავად, აღნიშნული რაიონის სკოლების მუშაობაში შეინიშნება სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებანი: ველისციხის (ყოფილი დირექტორი ი. ქიტიაშვილი, დირექტორის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოადგილეები სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში ვ. ლიშვილი და ბ. ჭიჭიკოშვილი), სოფელ გურჯაანის (ყოფილი დირექტორი მ. მახოშვილი), ახაშენის (დირექტორი რ. ძულიაშვილი), შაშიანის (დირექტორი ვ. დვალიშვილი) და კარდენახის (დირექტორი ალ. მჭედლიშვილი) საშუალო სკოლებში არადამაკმაყოფილებლად ისწავლება ცალკეული სასწავლო დისციპლინების პროგრამით გათვალისწინებული მასალები; განსაკუთრებით ცუდია საკონტროლო წერების შედეგები; სუსტად არის დაყენებული შინასასკოლო კონტროლი და ხელმძღვანელობა; არაიშვიათად ფორმალურ ხასიათს ატარებს მეთოდური მუშაობა, თითქმის უგულებელყოფილია თვითნაკეთი ხელსაწყო-იარაღებით კაბინეტ-ლაბორატორიების შევსების საქმე, სასოფლო-სამეურნეო წარმოების უკეთ მსწავლისათვის გამოყენებული არ არის სასწავლო-საცდელი ნაკვეთები, საერთოდ ყურადღება არ ექცევა მოსწავლეთა შრომითი აღზრდისათვის საჭირო პირობების შექმნას.

სკოლების ერთ ნაწილში სწორად არ არის გამოყენებული სსრ კავშირის განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული „ინსტრუქცია საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა ყოფაქცევის შეფასების გამოყვანის შესახებ“ ზოგიერთ სკოლაში ირღვევა სასკოლო და შრომის დისციპლინა.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. გურჯაანის რაიონის განათლების განყოფილებამ (ამბ. მ. თოდაშვილმა):

ა) მოსსენებითი ბარათი „გურჯაანის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების შესრულების მიმდინარეობისა და ახალ სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებზე გადასვლის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ“ განიხილოს სახალხო განათლების საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე;

ბ) გააუმჯობესოს ხელმძღვანელობა, დახმარება და კონტროლი სკოლებისადმი. 1973—1974 სასწავლო წლისათვის გადასინჯოს სკოლების დირექტორების, სასწავლო—აღმზრდელობითი მუშაობის დარგში მათი მოადგილეებისა და ორგანიზატორების შემადგენლობა და თავისი წინადადებანი წარმოადგინოს ა/წ 15 ივლისამდე;

გ) განსაკუთრებული კონტროლი და ზედამხედველობა განახორციელოს იმ სკოლებისადმი, რომელთა კურსდამთავრებულებმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს უმაღლეს სასწავლებლებში მი-
საღებ გამოცდებზე;

დ) მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის კურსებზე
პირველ რიგში მიავლინოს სუსტად მომუშავე სკოლების დირექ-
ტორები, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში მათი მო-
ადგილეები, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზა-
ტორები და მასწავლებლები;

ე) გადამჭრელი ზომები მიიღოს რაიონის პედაგოგიური კაბი-
ნეტისა და პიონერთა სახლისათვის შესაფერისი სამუშაო ფართის
გამოსაყოფად;

ვ) სათანადო ღონისძიებანი განახორციელოს იმ ახალგაზრდე-
ბის მიმართ, რომლებმაც სკოლა დაამთავრეს, მაგრამ აღარც სწავ-
ლას აგრძელებენ და არც საზოგადოებრივ—სასარგებლო შრომაში
არიან ჩაბმულნი;

ზ) უზრუნველყოს სკოლები მოსწავლეების შრომითი აღზრ-
დისათვის საჭირო პირობებით, ყველა რვაწლიან და საშუალო
სკოლაში სანიმუშოდ მოაწყოს სახელოსნოები, სასწავლო—საცდე-
ლი ნაკვეთები და სათბურები.

2. სკოლების დირექტორებმა და მათმა მოადგილეებმა:

ა) მკვეთრად გააუმჯობესონ დახმარება და კონტროლი მას-
წავლებელთა მუშაობაზე: ამ მიზნით, წინასწარ საფუძვლიანად მო-
ამზადონ და კვალიფიციური ანალიზი გაუკეთონ მასწავლებლის
მიერ ჩატარებულ გაკვეთილს;

ბ) მეთოდური მუშაობის გაუმჯობესებით უზრუნველყონ მას-
წავლებელთა პედაგოგიურ- მეთოდური კვალიფიკაციის ამაღლება,
განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ახალგაზრდა, დამწყებ მას-
წავლებლებთან მუშაობას;

გ) სისტემატურად შეამოწმონ საპროგრამო მასალის გავლის
მდგომარეობა. მტკიცე კონტროლი დააწესონ და დახმარება აღმო-
უჩინონ იმ საგნების მასწავლებლებს, რომლებიც ახალი პროგრამე-
ბითა და სახელმძღვანელოებით მუშაობენ;

დ) პერიოდულად შეამოწმონ წერითი სამუშაოების მდგო-
მარეობა, შედეგების მიხედვით გააკეთონ ღრმა ანალიზი და დასა-
ხონ ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად;

ე) გააუმჯობესონ პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე განსახილველი საკითხების, განსაკუთრებით კი სასწავლო წლის მეოთხედების შედეგების მასალების მომზადების საქმე, მიაღწიონ იმასაც, რომ სხდომებზე წარმოდგენილი მოხსენებები იძლეოდნენ სასწავლო—აღმზრდელობითი მუშაობის ღრმა ანალიზს, დადგენილებები კი კონკრეტულად განსაზღვრავდნენ ნაკლოვანებათა გამოსწორების გზებს და შესრულების დროს;

ვ) მაქსიმალური შესაძლებლობით დაიცვან გაკვეთილების ცხრილის შედგენის არსებული წესი, არ დაუშვან საგნების სიძნელე-სიადვილისა და დღეების თანაბარი დატვირთვის პრინციპის დარღვევის არცერთი შემთხვევა;

ზ) გააუმჯობესონ მოსწავლეთა საგნობრივი, ტექნიკური და ნატურალისტთა წრეების მუშაობა. უზრუნველყონ სკოლების მონაწილეობა ოლიმპიადებში, კონკურსებში, გამოფენებსა და მოსწავლათა შემოქმედებითი საქმიანობის ამსახველ სხვა ღონისძიებებში;

თ) გადასინჯონ სკოლის წლიური, პედაგოგიური საბჭოს ნახევარწლიური, კლასის ხელმძღვანელთა მეოთხედური, მშობელთა კომიტეტის, აგრეთვე სხვა სამუშაო გეგმები და მათში შეიტანონ პროფორიენტაციისა და შრომითი სწავლების, ახალ სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებზე გადასვლის, სასწავლო და შრომითი დისციპლინის განმტკიცების, ზედა კლასების მოსწავლეთა საზოგადოებრივ—სასარგებლო შრომაში მონაწილეობისა და ზოგი ისეთი საკითხი, რომლებიც ხელს შეუწყობენ სწავლების ხარისხის ამაღლებასა და მოსწავლეთა დისციპლინის განმტკიცებას;

ი) მიმზიდველად, სანიმუშოდ მოაწყონ სკოლის კარ-მიდამო. ყოველდღიურად იზრუნონ სასწავლო კაბინეტების, ლაბორატორიებისა და სახელოსნოების ინვენტარით, ხელსაწყო-იარაღებითა და მასალებით უზრუნველსაყოფად.

3. მასწავლებლებმა თავიანთ თავზე ყოველდღიური მუშაობით უზრუნველყონ საკუთარი პედაგოგიურ—მეთოდური კვალიფიკაციის ამაღლება; სრულყონ გაკვეთილი—სწავლებისა და აღზრდის ეს ძირითადი ფორმა და ყოველნაირად აამაღლონ მისი როლა სკოლის წინაშე დასახული ამოცანების გადაწყვეტაში.

4. კარდენახის საშუალო სკოლის დირექტორს ალ. მჭედლიშვილს საყოველთაო—საგალდებულო სწავლებისა და სასწავლო—

აღმზრდელობითი მუშაობისადმი სუსტი ხელმძღვანელობის გამო გამოეცხადოს სასტიკი საყვედური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. სოფ. ახაშნის და შაშიანის საშუალო სკოლების დირექტორებს რ. ძულიაშვილს და ვ. დვალიშვილს სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისადმი არადამაკმაყოფილებელი კონტროლისა და ხელმძღვანელობისათვის გამოეცხადოთ საყვედური.

6. ველისციხის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილეებს სასწავლო—აღმზრდელობითი მუშაობის დარგში ვ. ავალიშვილს, და ბ. ჭიჭიკოშვილს მოსწავლეთა ცოდნის ლიბერალურად შეფასებისათვის, რაც განსაკუთრებით ვლინდება საკონტროლო წერით ნამუშევრებში, გამოეცხადოთ საყვედური.

7. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ:

ა) ველისციხის საშუალო სკოლის დირექტორი ი. ქიტთშვილი არადამაკმაყოფილებლად მუშაობისათვის განთავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან;

ა) გურჯაანის საშუალო სკოლის დირექტორი მ. მახოშვილი სკოლის სასწავლო—აღმზრდელობითი და სამეურნეო—საფინანსო მუშაობისადმი არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობის გამო გადაყენებულია დაკავებული თანამდებობიდან;

ბ) შაშიანის საშუალო სკოლის კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზატორი შ. ჩეკურიშვილი გადაყვანილია სხვა სამუშაოზე.

8) აღინიშნოს გურჯაანის რაიონის განათლების განყოფილების არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობა და კონტროლი რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებებისადმი.

9) დაევალოს გურჯაანის რაიონის განათლების განყოფილებას (მ. თოდაშვილს):

ა) არსებითად გარდაქმნას განათლების განყოფილების საქმიანობა, აამაღლოს განათლების მუშაკთა მომთხოვნელობა და პირადი პასუხისმგებლობა დაკისრებული მოვალეობისადმი;

ბ) სათანადო აღმინისტრაციული სასჯელი დაადოს სამინისტროს სკოლების სამმართველოს ბრიგადის მოხსენებით ბარათში აღნიშნულ არადამაკმაყოფილებლად მომუშავე მასწავლებლებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) ა/წ 20 ნოემბრამდე განათლების სამინისტროს მოახსენოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

9) სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკმა) განახორციელოს კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1973 წლის 10 მაისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების მინისტრს ამხ. თ. ვ. ლაშქარაშვილს

გურჯაანის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სკკპ XXIV ყრილობას დირექტივების შესრულების მიმდინარეობისა და ახალ სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებზე გადასვლის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ

სკოლების სამმართველოს ინსპექტორების ნ. ახვლედიანის (ხელმძღვანელი), ი. წოწონავას, გ. გიორგობიანის, დ. მახარაძის, ჯ. თოფურიას, მეთოდური განყოფილების მეთოდისტ გ. შეყლაშვილის; დაწყებითი სამხედრო მომზადების განყოფილების ინსპექტორ გ. პაიჭაძის; ფიზიკური აღზრდისა და სპორტი განყოფილების ინსპექტორ უშ. თეთრაშვილის; სტატისტიკური აღრიცხვის განყოფილების უფროსის ი. უგულავას; განათლების სამინისტროს პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლების ალ. ნემსაძისა და ქ. დემეტრაძის; ესთეტიკური აღზრდის კაბინეტის თანამშრომელ ზ. ოდიშარიასა და გურჯაანის რაიონის განათლების განყოფილებას სასკოლო ინსპექტორ არ. ჯორჯაძის მიერ შემოწმდა გურჯაანის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების შესრულების მიმდინარეობისა და ახალ სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებზე გადასვლის შედეგები. გამოირკვა, რომ გურჯაანის რაიონის განათლების განყოფილებასა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს, სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების შესრულებისა და ახალ სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებზე გადასული საგნების მასწავლებელთა დახმარების მიზნით, გარკვეული მუშაობა აქვთ ჩატარებული. განსაკუთრებით კარგადაა დაყენებული სასკოლო შენობებითა და სასწავლო-მატერიალური ბაზით სკოლების უზრუნველყოფის საქმე. მზადდება პირობები უახლოეს წლებში რაიონის ყველა სკოლის ერთცვლიან მეცადინეობაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადასვლისა და საშუალო სკოლების კაბინეტურ სისტემაზე ყვანისათვის.

IX ხუთწლედის განვლილ პერიოდში საექსპლოატაციოდ გადაეცა კოლმეურნეობის სახსრებით აშენებული კალაურის, შაშიანის და კოლაგის სასკოლო შენობები; კაპიტალური დაბანდების სახსრებით—ახაშენის და კარდენახის საშუალოსკოლები, ხოლო კაპიტალური რემონტის თანხებით— ბაკურციხის საშუალო სკოლის შენობა.

ამჟამად კოლმეურნეობების სახსრებით მიმდინარეობს ველისციხის (960 მოსწავლე—ადგილი), ჩუმლაყის (960 მოსწავლეს—ადგილი) საშუალო და ჭანდრის (640 მოსწავლე—ადგილი) რვაწლიანი სკოლების მშენებლობა. კოლმეურნეობის მიერ, აგრეთვე, 32 საკლასო ოთახი მიუშენდება ვაზისუბნის საშუალო სკოლას. ამასთან, კაპიტალური რემონტის თანხებით ბაკურციხის საშუალო სკოლას მიუშენდება 12 საკლასო ოთახი. მზადდება სათანადო დოკუმენტაცია ქ. გურჯაანის შრომის, არაშენდისა და კაჭრეთის საშუალო სკოლების მშენებლობის დასაწყებად.

1972 წლის ბიუჯეტით საკმაოდ დიდი თანხა დაიხარჯა სკოლების სასწავლო—მატერიალური ბაზის განმტკიცებისა და სასკოლო ბიბლიოთეკების პოლიტიკური, მეთოდური, მხატვრული და ტექნიკური ხასიათის ლიტერატურით შესავსებად. ამ დანიშნულებისათვის ათვისებულია ბიუჯეტით გათვალისწინებული 68,700 მანეთი. აქედან სასწავლო—მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის რაიონის სკოლებში შემოტანილია 62,700 მანეთის სასწავლო ინვენტარი და ხელსაწყოები, სამეურნეო მოწყობილობანი და მასალები. რაიონში შესრულებულია 1972—1973 სასწავლო წლის მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმა როგორც I—VIII, ისე IX—X(XI) კლასებში.

ძირითადად სწორად არის შერჩეული განათლების განყოფილების, მეთოდური კაბინეტისა და სკოლების ხელმძღვანელი კადრები სპეციალობათა გათვალისწინებით. მაგ. განათლების განყოფილების გამგე რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით არის, ინსპექტორები—ერთი მათემატიკოსი, მეორე—ფილოლოგი. მეთოდური კაბინეტის გამგე ბიოლოგია, ხოლო მეთოდისტი—ისტორიკოსი; ასეთივე პრინციპითაა შერჩეული სკოლების უმრავლესობის დირექტორები და მათი მოადგილეები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონული საბჭოს აღმასკომის გეგმების შესატყვისად, განათლების განყოფილებას აქვს კვარტალური სამუშაო გეგმები, სადაც შეტანილი საკითხები ითვალისწინებს განათლების განყოფილების მიერ გასატარებელ ღონისძიებებს სასწავლო წლის მეოთხედების მიხედვით. ასევე მოფიქრებულად არის შედგენილი ზოგიერთი სკოლის წლიური და პედაგოგიური საბჭის ნახევარწლიური სამუშაო გეგმები. ყურადღება ექცევა გეგმებით გათვალისწინებული საკითხების შესრულების მიმდინარეობის შემოწმებას.

ზოგიერთი კლასის ხელმძღვანელის სამუშაო გეგმის შემოწმებით ირკვევა, რომ ისინი, კლასთან მუშაობის საკითხების გარჩევის დროს განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან სპეციფიურ პიროვნებს, რომლებიც კლასისა და მოსწავლეების თავისებურებებთან არის დაკავშირებული.

კარგი მუშაობის ამსახველია ისიც, რომ რაიონის განათლების განყოფილება ყოველწლიურად ატარებს მშობელთა რაიონულ კონფერენციას, სადაც იხილება სკოლისა და ოჯახის კავშირისა და მშობელთა პედაგოგიზაციის სადღეისო მნიშვნელოვანი საკითხები.

საგნის ცოდნას ამჟღავნებს და სათანადო წარმატებას აღწევს შემოწმებული სკოლების მასწავლებელთა ერთი ნაწილი.

ქართულ ენასა და ლიტერატურას დამაკმაყოფილებლად ასწავლიან მასწავლებლები: გ. ჯორჯაძე (სოფ. გურჯაანის საშუალო სკოლა), მ. მირიანაშვილი, ნ. ტორიაშვილი, მ. კოკოროშვილი (კარდენახის საშუალო სკოლა), ა. მღებრიშვილი (ველისციხის საშუალო სკოლა). აღნიშნულნ მასწავლებლები ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებს მომზადებულად და მოსწავლეებისათვის საინტერესოდ ატარებენ, ქართული ენის გრამატიკის საკითხების სწავლებას უკავშირებენ ლიტერატურულ მასალასა და ზეპირმეტყველებას; ატარებენ სისტემატურ ვარჯიშს და იყენებენ თვალსაჩინო საშუალებებს—ტაბულებს, სქემებს. ლიტერატურის სწავლების დროს მოსწავლეებისაგან მოითხოვენ ტექსტის ღრმა ცოდნას, ყურადღებას აქცევენ ნაწარმოების ლექსიკურსა და იდეურ—მხატვრულ მხარეებს.

გურჯაანის რაიონის სკოლებში დამაკმაყოფილებლად ისწავლება რუსული ენა და ლიტერატურა. ამ საგნის მასწავლებელთა დიდი ნაწილისათვის კარგად არის ცნობილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის XXIV ყრილობის ღონისძიებანი, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, რუსული ენის სწავლების გაუმჯობესების მეტად

საგულისხმო დაკვირვებას წარმოადგენს. მასწავლებლებისათვის ეტყობა, ბილია, რომ რუსული ენის ცოდნა ერებს შორის ურთიერთგაგებისა და მეგობრობის გაძლიერების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია.

რაიონში ამ საქმის მასწავლებელთა უმრავლესობა რუსული ენის ცოდნას ამყღავნებს და ზრუნავს, კიდევ უფრო აიმაღლოს მოძველების დონე; იცანი კარგად ერკვევიან ახალ სასწავლო პროგრამებსა და საბელმძღვანელოებზე გადასვლასთან დაკავშირებულ საკითხებში; მათთვის ცნობილია მოსწავლეთა ცოდნის შეფასების ნორმები, წერითი საშუშაოებისა და კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის სახეები და სხვა.

ამ რაიონში, 1967—1968 და 1971—1972 სასწავლო წლებში, რუსული ენის სწავლების შემოწმების მასალებთან შედარებით, საგრძნობლად გაზრდილა მოწინავე მასწავლებელთა რიცხვი რუსულ ენასა და ლიტერატურაში. ეს, ჩვენი აზრით, იმის შედეგია, რომ თითქმის ყველა სკოლაში არიან მასწავლებლები, რომლებმაც უკანასკნელ წლებში გაიარეს კვალიფიკაციის ამაღლების კურსები.

ირკვევა, რომ მოსწავლეთა ზეპირმეტყველების განვითარებას ხელი შეუწყო ე. წ. სასაუბრიების შემოღებამ, რომელიც ახალი პროგრამის მიხედვით ხორციელდება. ასე მაგალითად, მოსწავლეები საუბრობენ თემებზე: „ჩემი სოფელი“, „თბილისი საქართველოს დედაქალაქია“, „ჩემი სკოლა“ და სხვა. შეინიშნება, რომ დაწყებითი კლასებისა და IV—VII კლასების მოსწავლეები უფრო აქტიურად ებმებიან საუბრებში და, საერთოდ, უკეთ ფლობენ საპროგრამო მასალას რუსულ ენაში; განსაკუთრებით კარგი შედეგია IV კლასებში, რომლებიც მიმდინარე სასწავლო წლიდან ახალი სასწავლო პროგრამებით და საბელმძღვანელოებით მუშაობენ.

რუსულ ენასა და ლიტერატურას დამაკმაყოფილებლად ასწავლიან: ე. ძამუკაშვილი, (შაშიანის საშუალო სკოლის VI კლ. მასწავლებელი), ვ. ედიშერაშვილი (ამავე სკოლის V კლასის მასწავლებელი), ლ. კირკიტაშვილი (კარდენაანის საშუალო სკოლის IV კლასის მასწავლებელი), ა. თათმანოვა (სოფ. გურჯაანის საშუალო სკოლის IV კლასის მასწავლებელი) და სხვა. საკონტროლო წერის შედეგები შედარებით უკეთესია ქ. გურჯაანის საშუალო სკოლის XI კლასში, სადაც 21 მოსწავლიდან ნიშანი „5“ დაიმსახურა ერთმა მოსწავლემ, „4“—სამმა მოსწავლემ (მასწავლებელი ვ. ვოიტაშნეკი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათემატიკის მასწავლებელთა ერთი ნაწილი კარგად არ ამჟღავნებს თავს სიახლეებს, რომლებიც საგნის სწავლების გაუმჯობესებასთან-არის დაკავშირებული და ახალი პროგრამებით მუშაობით არის განპირობებული. ისინი წინასწარ გულდასმით ეცნობიან ახალ საპროგრამო მასალას; ეძებენ სიახლეებს და ზრუნავენ საკუთარი ცოდნა და პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება შეივსონ ახალი მათემატიკური თეორიებით და დებულებებით.

ახალი სასწავლო პროგრამების მიხედვით მათემატიკას დამაკმაყოფილებლად ასწავლიან მასწავლებლები: ზ. საჩეჩელაშვილი, ნ. კანაშვილი და მ. მარტაშვილი (კარდენახის საშუალო სკოლა), ლ. მემარნიძე (ველისციხის საშუალო სკოლა), კ. დურგლიშვილი (ახაშნის საშუალო სკოლა), ა. კალატოზიშვილი და მ. ზურაშვილი (სოფ. გურჯაანის საშუალო სკოლა) და სხვა.

შემოწმებული სკოლებიდან ფიზიკას კარგად ასწავლიან მასწავლებლები: ნ. კირვალიძე (ახაშნის საშუალო სკოლა), ლ. იაკობაშვილი (სოფ. გურჯაანის საშუალო სკოლა), გ. ცაგარეიშვილი (კარდენახის საშუალო სკოლა) და სხვა. ისინი ყოველთვის მომზადებული მიდიან გაკვეთილებზე და წინასწარ ამზადებენ ლაბორატორიულ ხელსაწყოებს, რომლებიც გაკვეთილის მასალას უკავშირდება; მოსწავლეებს აძლევენ ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების ჩვევებს და სისტემატურად ზრუნავენ მათი მომზადების დონის ამაღლებისათვის.

ისტორია — საზოგადოებათმცოდნეობას კარგად ასწავლიან მასწავლებლები: ნ. კოპალიანი (ზემო გურჯაანის საშუალო სკოლა), მ. ღირსიაშვილი (კარდენახის საშუალო სკოლა), ვ. ბაირამოვი (ახაშნის საშუალო სკოლა). დასახელებული მასწავლებლები სათანადოდ ფლობენ საგანს, უნარიანად წარმართავენ გაკვეთილებს, ახალ მასალას აშუქებენ მოსწავლეთათვის მისაწვდომად, საინტერესოდ; გაკვეთილის პროცესში ისინი წარმართებით წყვეტენ არა მარტო საგანმანათლებლო, არამედ აღმზრდელობით ამოცანებსაც. მაგ. მასწავლებლებმა—ნ. კოპლიანმა და მ. ღირსიაშვილმა საქართველოს ისტორიის გაკვეთილებზე VII კლასებში თემა—„ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის XVI საუკუნეში", აღმზრდელობითი მომენტების გაძლიერების მიზნით, მოხერხებულად დაუკავშირეს გურჯაანის რაიონის ტერიტორიაზე ირანიდან ახლახან ჩამოსახლებული ქართული ოჯახების მაგალითს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწავლეებს, რომლებსაც აღნიშნული მასწავლებლები ასწავლიან, ეხერხებათ ისტორიული მასალის თანამიმდევრული თხრობა და ისტორიული მოვლენებისა და ფაქტების მიზეზ—შედეგობრივ კავშირში განხილვა.

დამაკმაყოფილებლად ჩაატარეს ისტორიის გაკვეთილები აგრეთვე მასწავლებლებმა: მ. ჭედლიშვილმა (კარდენახის საშუალო სკოლა) და ვ. ზარდიაშვილმა (ზემო გურჯაანის საშუალო სკოლა).

ახაშნის საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი მ. კაკალაშვილი და კარდენახის საშ. სკოლის მასწ. ნ. ჩათალაშვილი დამწყები მასწავლებლები არიან, მაგრამ მათი მოსწავლეები ქიმიის დამაკმაყოფილებელ ცოდნას ამჟღავნებენ.

ბიოლოგიას კარგად ასწავლის მასწავლებელი ვ. კობიაშვილი (ახაშნის საშუალო სკოლა), იგი X კლასებში, საპროგრამო მასალის უკეთ ათვისების მიზნით, მოსწავლეების მონაწილეობით, სისტემატურად ამზადებს ტაბულებს, სქემებს, ნახაზებს და კაბინეტს აკომპლექტებს თვალსაჩინოების მასალებით. ამ სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებმა სწორად განმარტეს გენი, კარგად იციან. რას ეწოდება მუტაციური ცვალებადობა, ასახელებენ მუტაციური ცვალებადობის მიზეზებს და ცვალებადობის მაგალითებს; განმარტავენ, რაში მდგომარეობს ფენოტიპური ცვალებადობის არსი, რა მნიშვნელობა აქვს სახეობათა ცვალებადობას ევოლუციური მოძღვრებისათვის. ასევე ბიოლოგიას კარგად ასწავლის მასწავლებელი ე. გურაშვილი (კარდენახის საშუალო სკოლა) და სხვა.

დაწყებითი კლასების მუშაობის შემოწმებით გამოირკვა, რომ I—III კლასების ზოგიერთ მასწავლებელს შესწავლილი აქვს მასალები, რომლებიც ახალი სასწავლო პროგრამით მუშაობასთან დაკავშირებულ საკითხებს მოიცავენ. ისინი სისტემატურად ემზადებიან გაკვეთილებისათვის, დადგენილი ნორმების მიხედვით ატარებენ წერებს და გულდასმით ასწორებენ წერით ნაშრომებს; სწავლების პროცესში ეძიებენ გაკვეთილების სრულყოფის გზებს და კარგ აკადემიურ მაჩვენებლებს აღწევენ.

დაწყებით კლასებში კარგი მუშაობით გამოირჩევიან მასწავლებლები: დ. გაბრიელაშვილი (მაშიანის საშუალო სკოლა), მ. ყვავიაშვილი (ველისციხის საშუალო სკოლა), ნ. მაჭავარიანი (სოფ. გურჯაანის საშუალო სკოლა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწავლეთა დაწყებითი სამხედრო მომზადებისათვის გურჯაანის რაიონის განათლების განყოფილება მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებს. რაიონის სკოლების სამხედრო ხელმძღვანელებისათვის თვეში ერთჯერ ტარდება მეთოდური სემინარები, ხოლო ზამთრის არდადეგების პერიოდში ჩატარებულია სამდღიანი თათბირ—სემინარი, საკითხი დაწყებითი სამხედრო მომზადების მდგომარეობის შესახებ განათლების საბჭოს სხდომაზე 1972—1973 სასწავლო წლის განვლილ პერიდში სამჯერ არის განხილული. განათლების განყოფილების მეთოდურ კაბინეტში შექმნილია დაწყებითი სამხედრო მომზადების სექცია; სამხედრო კომისარიატთან ერთად ჩამოყალიბებულია სამხედრო ხელმძღვანელთა სარაიონო საბჭო. სასწავლო იარაღები № 1 ტაბელის მიხედვით მიღებული აქვს ყველა სკოლას. რაიონის 18 საშუალო და 2 სკოლა-ინტერნატიდან გაზ. „იზვესტიაში" პირველი და მეორე პატაკი გაგზავნილია 19 სკოლიდან. ყველა საშუალო სკოლაში შექმნილია სამხედრო-პატრიოტული თამაშის-„ორლიონოკის" შტაბი და დებულების მიხედვით დანიშნულებისამებრ გაგზავნილია საჭირო მასალები. სკოლების უმრავლესობას გამოწერილი აქვს დაწყებითი სამხედრო მომზადებისათვის რეკომენდებული სახელმძღვანელოები, ჟურნალები და გაზეთები.

დამაკმაყოფილებლად ჩაატარა დაწყებითი სამხედრო მომზადების გაკვეთილი ახაშნის საშუალო სკოლის სამხედრო ხელმძღვანელმა, თადარიგის ლეიტენატმა ო. თარხნიშვილმა IX კლასში. მან, სამოქალაქო თავდაცვის პროგრამის მიხედვით, გეგმა-განრიგი წინასწარ დაამტკიცებინა სკოლის დირექტორს, შემდეგ ესაუბრა ათეულის მეთაურებს და პლაკატების დიაგრამებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენებით გაკვეთილი მიმზიდველად და საინტერესოდ წარმართა. აღნიშნული სკოლა სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საკავშირო დათვალიერების მონაწილეა. ასევე, დაწყებითი სამხედრო მომზადებისათვის გარკვეული მუშაობა ტარდება შაშიანის საშუალო სკოლაში (სამხედრო ხელმძღვანელი ნ. ბენიძე) და სხვა.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტული ღონისძიებების უზრუნველსაყოფად გურჯაანის რაიონის სკოლებში გარკვეული მუშაობაა ჩატარებული. უახლოეს წლებში რაიონის 7 რვაწლიან და საშუალო სკოლაში გაკეთდა სპორტული მოედანი; სოფ. ჩუმლაყისა და ველისციხის საშუალო სკოლებში შენდება სტანდარტული ტიპის

სპორტული დარბაზები (18 მ × 9 მ). მნიშვნელოვანი ღონის-ძიებებია გატარებული სპორტულ-თანრიგოსნებისა და საზოგადო-ებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადებისათვის. გურ-ჯაანის რაიონის სპორტულმა კოლექტივმა მოსწავლეთა 24-ე რეს-პუბლიკურ სპარტაკიადზე ხელთბურთში ჭაპუკთა შორის III ად-გილი დაიკავა; რესპუბლიკურ ნაკრებ გუნდებში—ფეხბურთსა და კალათბურთში გურჯაანის რაიონიდან ჩაირიცხა 6 მოსწავლე, ხო-ლო მძლეოსნობაში—1 მოსწავლე სპორტსმენი. მომზადებულია—5 პირველი და 638 მეორე და მესამეთანრიგოსანი. კარგი მუშაობით გამოირჩევიან სოფ. გურჯაანის (მასწავლებელი გ. ჭელიძე), სოფ. კოლაგის (მასწავლებელი ვ. რიკაძე) სკოლები და ქ. გურჯაანის სასპორტო სკოლა (დირექტორი ვ. ქაჩლიშვილი, მწვრთნელები: გ. ზარდიაშვილი, ნ. ძულიაშვილი, ზ. ზურაბაშვილი და ო. ოთა-რაშვილი).

ფიზკულტურული და სპორტულ—გამაჯანსაღებელი მუშაობის გაუმჯობესებას ხელს უწყობს განათლების განყოფილების მიერ თვეში ერთჯერ თათბირ-სემინარების ჩატარება, სადაც მოსმენილია მეთოდური და კლასგარეშე სპორტული მუშაობის საინტერესო საკითხები, ამასთან, სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე პე-რიოდულად ისმენენ მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის მდგომა-რეობა, ტარდება ღონისძიებანი.

გარკვეულ წარმატებებთან ერთად, შემოწმების პერიოდში, გურჯაანის რაიონის განათლების განყოფილების, მეთოდური კაბი-ნეტისა და სკოლების მუშაობაში გამოვლინდა სერიოზული ნაკლო-ვანებები.

განათლების განყოფილება (გამგე ამხ. მ. თოდაშვილი) შე-მოწმების შედეგების შესახებ სკოლებს არ უგზავნის სათანადო ღო-ნისძიებებს. ამასთან, თემატურად არ ამოწმებს იმ სასწავლო დის-ციპლინების სწავლების მდგომარეობას, რომლებიც უკანასკნელ წლებში ახალი სასწავლო პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით მუშაობენ.

მუშაობის ნორმალური პირობები არა აქვს შექმნილი რაიო-ნის მეთოდურ კაბინეტს (გამგე ლ. ჯიღაური). კაბინეტი, ბიბლიო-თეკა და ყველა სექცია მოთავსებულია ერთ შეუფერებელ ოთახში. კაბინეტში, ფაქტიურად, მხოლოდ ერთი მუშაკი მუშაობს, ხოლო მეთოდისტი, როგორც გამოირკვა, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სკოლებს სათანადო მეთოდურ დახმარებას ვერ უწევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლის დირექტორები და მათი მოადგილეები არ ეძებენ აკადემიური ჩამორჩენილობის მიზეზებს და განსაკუთრებული ყურადღებით არ ეკიდებიან მოსწავლეთა აკადემიური მომზადების დონის ამაღლებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარებას. ზოგიერთი სკოლის დირექტორი არ ამოწმებს ახალ სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებზე გადასული საგნებისა და კლასების მუშაობის შედეგებს. ასევე უყურადღებობას იჩენენ პედაგოგიური საბჭოების სხდომების მომზადებისა და ჩატარების საქმისადმი, განსაკუთრებით მეოთხედების შედეგების გაანალიზების დროს.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს მასწავლებელთა ერთი ნაწილი. ნაკლოვანებები, რომლებიც ცალკე სასწავლო დისციპლინების სწავლების შემოწმების შედეგების მიხედვით იქნა გამოვლინებული, ასეთია:

ქართულ ენასა და ლიტერატურას არადამაკმაყოფილებლად ასწავლიან მასწავლებლები: ნ. შარვაშიძე (ახაშნის საშუალო სკოლა), თ. ქაჩლიშვილი (სოფ. გურჯაანის საშუალო სკოლა), ა. ფირანიშვილი, გ. ოსაშვილი (შაშიანის საშუალო სკოლა), ქ. ბებურიშვილი (კარდენახის საშ. სკოლა), ზ. მეზვრიშვილი (ველისციხის საშუალო სკოლა) და სხვა.

აღნიშნული მასწავლებლები ქართული ენის გრამატიკის სწავლებისას არ იყენებენ თვალსაჩინოებას, არ უკავშირებენ ზეპირმეტყველებასა და მხატვრულ ლიტერატურას. ისინი ლიტერატურის სწავლების დროს არ აწარმოებენ ლექსიკურ მუშაობას და არ ადგენინებენ მოსწავლეებს გეგმებს. ყველა შესწავლილი სკოლის IV, V, VIII, IX და X კლასებში ახალი პროგრამების შესაბამისად არ ასწავლიან სავალდებულო კლასგარეშე საკითხავ ლიტერატურას, არ ამოწმებენ საშინაო და საკლასო წერით ნამუშევრებს და არ იყენებენ სწავლებაში ტექნიკურ საშუალებებს.

სკოლებში არ სრულდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს „მეთოდური მითითებანი წერითი მუშაობის სახეების, რაოდენობისა და შეფასების ნორმების შესახებ ქართულ ენასა და ლიტერატურაში“. მასწავლებლები არ იცავენ წერის სახეებს, შეფასების ნორმებს; VIII, IX, X კლასის მოსწავლეები ნაწარმოების ანალიზის ნაცვლად წერენ შინაარსს, მოქმედი პირების თავგადასავლის მაგიერ კი დახასიათებას.

შესწავლილი სკოლების მასწავლებელთა ნაწილი გულდასმით არ ასწორებს და ლიბერალურად აფასებს მოსწავლეთა წერით ნა-

მუშევრებს. უფრო მეტი, ზოგიერთი მასწავლებელი მორიგ საკონ-ტროლო წერას ატარებს ისე, რომ წინა ნამუშევარი არა აქვს გასწორებული და შეფასებული. მაგალითად, ველისციხის საშუალო სკოლის IX კლასის (მასწავლებელი ს. გაბრუაშვილი) მოსწავლეების ნ. გ.-ის და ა-ის 29 სექტემბრის ნამუშევრები არ არის გასწორებული და შემდეგი წერაა ჩატარებული, ხოლო VII² კლასის მოსწავლის ლ. ტ-ის 16 თებერვლის ნაწერები გასწორებულია, მაგრამ შეფასებული არ არის. ასევე შეუფასებელია ამავე სკოლის IV კლასის (მასწავლებელი ო. ზალუაშვილი) მოსწავლის ვ. მ-ის 13 თებერვლის ნაშრომი. ველისციხის VI² კლასის (მასწავლებელი ლ. გაბრუაშვილი) მოსწავლის მ. ს-ის 31 იანვრის ნამუშევარში მასწავლებელს შეუნიშნავს 27 შეცდომა და შეუფასებია ნიშნით— „3", ამავე სკოლის VIII და V კლასის (მასწავლებლები ე. ქიტუაშვილი, ნ. სამნიაშვილი) მოსწავლეების თ. ფ-ის 30 ოქტომბრის, თ. გ.-ის 29 იანვრის თითოეულ ნამუშევარში 25-ზე მეტი შეცდომაა დაშვებული და შეფასებულია „3"-ზე.

შემოწმებული სკოლების რუსული ენის მასწავლებელთა ერთი ნაწილის მუშაობაში შეინიშნება ნაკლოვანებანი. არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ მასწავლებლები: ნ. ნარეთაშვილი (კარდენახის საშ. სკოლა), თ. მანჯავიძე (შაშიანის საშუალო სკოლის VI კლასი), ი. დანილოვა (ქ. გურჯაანის საშუალო სკოლის VIII კლასი), მ. არუთინოვა (ველისციხის საშუალო სკოლის X კლასი) და სხვა.

ირკვევა, რომ ცუდად მომუშავე მასწავლებლები არ ზრუნავენ რუსული ენის სწავლების მეთოდიკის დაუფლებაზე, მოსწავლეების ზეპირმეტყველებისა და წერის კულტურის ამაღლებაზე, რუსული ენის სასკოლო ლექსიკონის გამდიდრებასა და მისი პრაქტიკულად გამოყენების ჩვევათა დანერგვაზე და სხვ. დასახელებული და ზოგიერთი სხვა მასწავლებელი შაბლონურად ატარებენ გაკვეთილებს, დიდ დროს ანდომებენ მოსწავლეების ინდივიდუალურ გამოკითხვას გაკვეთილზე. მხოლოდ 2—3 მოსწავლეს აფასებენ და კლასს არ აბამენ მუშაობაში. ყურადღებას არ აქცევენ კალიგრაფიას და მოსწავლეთა ნამუშევრებს უპასუხისმგებლოდ ასწორებენ, არ იყენებენ ტექნიკურ საშუალებებს და გაკვეთილებს ყოველთვის თვალსაჩინოების გარეშე ატარებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურჯაანის რაიონის ზოგიერთ სკოლაში რუსული ენის სწავლების დაბალი დონე იმითაც არის გამოწვეული, რომ სკოლები არ ასრულებენ სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მითითებებს ამ საგანში სოფლის მრავალმოსწავლინი IV—VII კლასების გაყოფის შესახებ.

მათემატიკის სწავლების შემოწმების პერიოდში გამოვლინებულ იქნენ ისეთი მასწავლებლები, რომლებიც უგულებელყოფენ სწავლებაში ახალი მეთოდების გამოყენებას, გაკვეთილებზე მოუმზადებელი ცხადდებიან და მოსწავლეების დაბალ აკადემიურ მაჩვენებლებს დაუსაბუთებელი და გაუმართლებელი მიზეზებით ხსნიან. მაგ. მოუმზადებლად ჩაატარა გეომეტრიის გაკვეთილი VII კლასში შაშიანის საშუალო სკოლის მასწავლებელმა თ. ძამეკაშვილმა. იმის გამო, რომ მოსწავლეები გაკვეთილზე მოუმზადებლები გამოცხადდნენ, საშინაო დავალების გამოკითხვას თითქმის მთელი გაკვეთილი მოანდომა. მოსწავლეებს გაუძნელდათ სამ წერტილზე წრეწირის აგება, რადგან არა აქვთ სახაზავი ხელსაწყოების გამოყენების ჩვევა. ახალი მასალის ახსნის დროს თვით მასწავლებელმა დაუშვა შეცდომები. იგი კლასს მიმართავს: „ეხლა ჩვენ შევისწავლით ქორდისადმი პერპენდიკულარის თვისებას“, „ტოლფერდა სამკუთხედის წვეროდან დაშვებული წრფე რას წარმოადგენს“, „რა თვისება აქვს ტოლფერდა სამკუთხედის წვეროდან დაშვებულ წრფეს“ და სხვა. ბუნებრივია, მოსწავლეებმა ახალი მასალა ვერ აითვისეს და გაკვეთილი უფერულად ჩატარდა.

ასევე ცუდად ჩატარდა მათემატიკის გაკვეთილი ამავე სკოლის V კლასში. მასწავლებელი ა. ბიწკინაშვილი საფუძვლიანად არც კი იცნობს ამ კლასის მათემატიკის ახალ პროგრამას და სახელმძღვანელოს; საერთოდ, იგი მათემატიკის სუსტ ცოდნას ამჟღავნებს და გაკვეთილებს სრულიად მოუმზადებლად ატარებს. გაკვეთილის მავლენის დროს გამოვლინდა, რომ მასწავლებელი არც კი იცნობდა იმ ამოცანას, რომელიც სახელმძღვანელოშია მოცემული და გაკვეთილზე უნდა განეხილა. მან მაგალითი 3/4 და 5/6-ის საერთო მნიშვნელიანებაზე ასე წარმართა: „4“-ისა და 6-ის საერთო მნიშვნელია 12, ე. ი. 3/4-ის მაგივრად გვექნება 3/6 აქედან 12 გავყოთ 6-ზე იქნება 2, 3/6 გავამრავლოთ 2-ზე მივიღებთ $\frac{3.2}{6.2}$—$\frac{6}{12}$-მაშასადამე, მივიღებთ ახალ წილადს 6/12, ხოლო

$\frac{5}{6}=\frac{5.2}{6.3}=\frac{10}{12}$; აქ სამუშაო დამთავრებულად ჩათვალა. მოსწავლემ შენიშნა, რომ მასწავლებელმა შეცდომა დაუშვა, რადგან ტოლობაში 3/4-ის ნაცვლად 3/6 დაიწერა. ამის შემდეგ მასწავლებელმა მოსწავლეებს მის მიერ შედგენილი მაგალითის მიხედვით მისცა საშინაო დავალება იმ მოტივით, რომ წიგნში ძნელი მაგალითებია და ვერ გამოიყვანთო.

ახაშნის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელმა შ. დიღმელაშვილმა ალგებრის გაკვეთილი ჩაატარა VII კლასში. მიუხედავად იმისა, რომ გაკვეთილზე მოსწავლეები მოუმზადებელი გამოცხადდნენ, ახალი მასალის გადაცემა მაინც დაიწყო. იგი ცდილობდა ახალი გაკვეთილის ახსნის პროცესში გამოეყენებინა გავლილი მასალა და კითხვებით მიმართავდა კლასს, მაგრამ მთელი კლასი პასიურობდა, ამის მიზეზი, გავლილი მასალის უცოდინრობასთან ერთად, ისიც იყოს, რომ კითხვების დასმის დროს თვით მასწავლებელი უშვებდა უხეშ შეცდომებს. მაგ. მასწავლებელმა მოსწავლეებს მისცა განტოლება X+ 5=5(?). თვით განტოლების განსაზღვრა მან ასე წარმოადგინა: „განტოლება არის ტოლობა, რომელშიაც უცნობს აქვს მხოლოდ ერთი მნიშვნელობა". ირკვევა, რომ მასწავლებელი ვერ განასხვავებს განტოლებას იგივეობისაგან.

ველისციხის საშუალო სკოლის IX კლასში მასწავლებელმა მ. ქიტიაშვილმა გეომეტრიის გაკვეთილზე მოსწავლეებს საშინაო დავალების შესრულება მოსთხოვა, შემოწმებით გამოირკვა, რომ იგი მაგალითებისა და ამოცანების ნაცვლად მოსწავლეებს ავალებს საშინაო რვეულებში შეიტანონ ყოველი გაკვეთილი წიგნის მიხედვით. ახალი გაკვეთილის გადაცემის დროს მასწავლებელი უშვებდა სერიოზულ შეცდომებს. მან მართი ორწახნაგა კუთხე შეცდომით განსაზღვრა. საუბრის დროს გამოირკვა, რომ მასწავლებელი მ. ქიტიაშვილი წლების განმავლობაში ასწავლის გეომეტრიას IX—X კლასებში, მაგრამ არ იყენებს ოფიციალურ სახელმძღვანელოს და მრავალ მათემატიკურ წესს და დებულებას ამახინჯებს. მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებით ხასიათდება ამავე სკოლის მათემატიკის მასწავლებელ ლ. აგულოვის მუშაობაც.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება ფიზიკა შაშიანის საშუალო სკოლის X კლასში (მასწ. ი. დიღმელაშვილი), ამ კლასში გაკვეთილი—„ლინზის ფორმულა" მოსწავლეებმა ცუდად იციან, ხოლო ახალი მასალა—„სტოლეტოვის ცდა" და „ფოტოდენი" გადასცა

თვალსაჩინოებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენების გარეშე. ასევე არადამაკმაყოფილებლად ჩაატარა გაკვეთილი IX კლასშიც, აქ მოსწავლეები ერთმანეთში ურევენ ელექტრონულ და ქიმიურ ექვივალენტებს, მოსწავლეებმა არ იციან განვლილი მასალის ფორმები და კანონები, ვერ ერკვევიან ფიზიკურ კანონზომიერებაში.

ამავე სკოლის VI კლასის მოსწავლეები (მასწავლებელი ა. ბიწკინაშვილი) წნევას ვერ ანსხვავებენ წნევის ძალისაგან, ახალი გაკვეთილი—„არქიმედის ძალის გაზომვა", მასწავლებელმა ცდის გარეშე ახსნა.

მასწავლებელს არ აღმოაჩნდა თემატური გეგმა, ხოლო გაკვეთილის გეგმა უვარგისია; მასწავლებლებს-ი. დიღმელაშვილს და ა. ბიწკინაშვილს მიცემული აქვთ ფაკულტატიური მეცადინეობის საათები VII და V კლასებში, სადაც მეცადინეობა უგეგმოდ და არადამაკმაყოფილებლად ტარდება.

ახაშენის საშუალო სკოლის X[1] კლასის ზოგიერთი მოსწავლე (მასწავლებელი ნ. ჯანიაშვილი) გაკვეთილის—„მოდულირებული რხევები" მოყოლის დროს უხეშ შეცდომებს უშვებდა, რაც მასწავლებლის მიერ შეუნიშნავი რჩებოდა, შეცდომები არ სწორდებოდა. ამ კლასში მასწავლებელმა ახალი გაკვეთილის ახსნას მხოლოდ 15 წუთი მოანდომა. გამოირკვა ისიც, რომ მასწავლებელი ფიზიკის კურსის გავლის პერიოდში არ იცავს პროგრამის მიხედვით თემების შესწავლის თანმიმდევრობას.

გურჯაანის რაიონის სკოლებში არიან ისეთი მასწავლებლები, რომლებიც ისტორიის სუსტ ცოდნას ამჟღავნებენ, ისინი სათანადოდ არ ემზადებიან გაკვეთილებისათვის; ახალ მასალას ხსნიან უსისტემოდ, ზერელედ, არ იყენებენ თვალსაჩინოებას; ზოგიერთი მასწავლებელი გაკვეთილს ატარებს რუკის გარეშეც კი.

სუსტი ცოდნა გამოამჟღავნეს მასწავლებლებმა: ვ. ჭაჭუკაშვილმა (ახაშენის საშუალო სკოლა), ი. იოსებაშვილმა (ველისციხის საშუალო სკოლა), მ. კაკიაშვილმა (შაშიანის საშუალო სკოლა).

მასწავლებელმა ვ. ჭაჭუკაშვილმა უსისტემოდ და ბუნდოვნად ახსნა ახალი მასალა V კლასში. მან სრულყოფილად ვერ აღწერა მაკედონეული ჯარის წყობა—„ფალანგა"; კერძოდ, არაფერი უთქვამს მის დადებით და უარყოფით მხარეებზე; მოლიანად გამოტოვა მასალა დემოსთენეს შესახებ, ხოლო ბერძენ-მაკედონელთა ბრძოლის ადგილის, „ქ. ქერონეას" მაგივრად ხმაროობდა „ხერონს". იგი

ახალი მასალის თხრობისას არ ცდილობს ასახოს შესასწავლი ობიექტის კოლორიტი იმდროინდელი ცნობილი ადამიანების გამონათქვამების მოტანით, რომელსაც საკმაოდ შეიცავდა ახალი მასალის ტექსტი. მასწავლებელი სრულყოფილად ვერ იყენებს სახელმძღვანელოში მოცემულ დოკუმენტებსა და ილუსტრაციებს.

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება მასწავლებელ იოსებიშვილის (ველისციხის საშუალო სკოლა) მიერ ჩატარებული გაკვეთილი VI კლასში. აღნიშნული კლასის მოსწავლეები არადამაკმაყოფილებელ პასუხს იძლეოდნენ განვლილი მასალიდან დასმულ კითხვებზე, მასწავლებელიც ზოგჯერ გაუმართავ კითხვებს აძლევდა გამოძახებულ მოსწავლეებს; მაგ. „ფეოდალური საზოგადოება რომელ პერიოდად იყოფა?, „ინდოეთის სახელმწიფოზე ვინ ახდენდა თავდასხმას"; „ვინ იყო ამ დროს ცნობილი მეფე ინგლისში"? და სხვა. მასწავლებელმა არასრულყოფილად გააშუქა სოფლის მეურნეობიდან ხელოსნობის გამოყოფისა და ფეოდალური ქალაქების წარმოშობის საკითხები; გარდა ამისა, უშვებდა ზოგიერთ ფაქტობრივ შეცდომას და უზუსტობას; მაგ. „მონათმფლობელური წყობილების დროს ადამიანი წარმოადგენს უსულო საგანს", „სულ გაგვაჩნია ხუთი წყობა", „სოფლიდან ვამოიყოფა ქალაქები" და სხვა.

დაბალ მეცნიერულ-მეთოდურ დონეზე ჩაატარა გაკვეთილი IV კლასში მასწავლებელმა ნ. კაკიაშვილმა. მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე სასწავლო წელს IV კლასი ახალი პროგრამით მუშაობს, მასწავლებელი არ იცნობს პროგრამას. ივი არ იყენებს სწავლებაში თვალსაჩინოებას-სახელმძღვანელოს ილუსტრაციებს, აპლიკაციებს, ფოტოსურათებს, ჟურნალის ილუსტრაციებს, დიაპოზიტივებს, დიაფილმებსა და სხვა. არ ამზადებინებს მოსწავლეებს დასარიგებელ მასალას: ქრონოლოგიურ ბარათებს, დროის ლენტას, ცხრილებს, სქემებს, ფოტორეპროდუქციებს, მაკეტებსა და სხვა.

ქიმიის სწავლება არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ველისციხის საშუალო სკოლაში. მასწავლებლები—თ. ბაბალაშვილი და ნ. ყვავილაშვილი ახალი პროგრამით სწავლებას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ და საგანს თვალსაჩინოების გამოუყენებლად ასწავლიან. მასწავლებლებს არა აქვთ ცდის ჩატარების ტექნიკის ელემენტარული ჩვევებიც კი. მოსმენილი გაკვეთილებით ირკვევა, რომ მოსწავლეები ამჟღავნებენ შესწავლილი მასალის უცოდინრობას. მაგ. მეათე კლასის მოსწავლეებს არ შეუძლიათ ახსნან ეთილენის მოლეკულაში ორმაგი ბმის, აგრეთვე აცეტილენის მოლეკუ-

ლაში სამმაგი ბმის გაწყვეტის თავისებურებანი. არ იციან ცალკეული მოლეკულაში შემავალი მჟავას სახელწოდებანი და სხვა. III კლასის მოსწავლეებს არ შეუძლიათ გამოსახონ მარტივი ნივთიერება ატომის ან მოლეკულის სახით, ახალი მასალის—წყალი" ახსნის დროს მასწავლებელმა წყლის გამიხდაზე არ ჩაატარა ცდა.

მასწავლებელი თ. ახალაშვილი გაკვეთილის ახსნის დროს ამჟღავნებს ცდის ჩატარების ტექნიკის სრულ უცოდინრობას. იგი სადემონსტრაციოდ არ უჩვენებს ისეთ ცდას, რომელიც პროგრამით ლაბორატორიულ სამუშაოებშია გათვალისწინებული. მოსწავლეებმა არ იციან ატომი, მოლეკულა. წყალბადის ატომის მაგივრად წერენ წყლის ფორმულას, წყლის მოლეკულაში შემავალ ატომებს ვერ ასახელებენ და სხვა. მასწავლებელმა ახალი მასალა—„მჟავების შედგენილობა" ახსნა თვალსაჩინოების გარეშე, ხუთ წუთში. ამ დროს არ ხდებოდა ქილებით მჟავების დემონსტრირება მათი ფიზიკური თვისებების გაცნობის მიზნით, აგრეთვე არ ჩაატარა ცდა მჟავათა ქიმიური თვისებების გაცნობისათვის და სხვა.

შაშიანის საშ. სკოლაში ქიმია თვალსაჩინოების გარეშე ისწავლება (მასწ. შ. ჩეკურიშვილი და დ. პაპოშვილი). VIII—IX კლ. მოსწავლეებმა არ იციან კოვალენტურ—პოლარული და კოვალენტურ—არაპოლარული ბმის განმარტება და იონური ბმა, ასევე არ შეუძლიათ გამოსახონ ტოლობები იონურად. ახალი მასალისლითონების ფიზიკური თვისებების" ახსნის დროს მასწავლებელმა არ განმარტა, რაზეა დამოკიდებული ლითონური სიმკვრივე, რა იწვევს მას, არ დაასახელა კონსტრუქციული ლითონებიდან მსუბუქი და მძიმე ლითონები, აგრეთვე მათი გამოყენება მშენებლობაში და სხვა.

არადამაკმაყოფილებლად ჩატარდა ბიოლოგიის გაკვეთილი კარდენახის საშ. სკოლის VI[3] (მასწ. ე. ილაშვილი), სოფ. გურჯაანის საშუალო სკოლის VIII[3] და X[4] (მასწ. თ. ბეზარაშვილი) და შაშიანის საშუალო სკოლის VIII[1] და IX[2] (მასწ. შ. ჩეკურიშვილი) კლასებში.

კარდენახის საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლეებმა არ იციან მცენარეთა ძირითადი ჯგუფები და იარუსიანობა. ვერ ასახელებენ მცენარეებს, რომლებიც თესლით მრავალდებიან, ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ ბაქტერიების მნიშვნელობაზე. სოფ. გურჯაანის X კლასის მოსწავლეებმა არ იცოდნენ ქრომოსომული მუტაციები, გენოტიპის განსაზღვრა, პოლიპოლოიდის შემოხვევები და

მათი მნიშვნელობა, ხოლო ამავე სკოლის VIII კლასის მოსწავლეებს უძნელდებათ გამოყოფის ორგანოების დასახელება, ფილტვების მნიშვნელობა, ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ სისხლის მიმოქცევის სისტემაზე. წარმოდგენა არა აქვთ სისხლის მიმოქცევის მცირე და დიდ წრეზე და სხვა.

შაშიანის საშუალო სკოლაში ბიოლოგიას დროებით ასწავლის შ. ჩეკურიშვილი, იგი ქიმიის 17 გაკვეთილი არის დაკავებული (სულ 31 გაკვეთილი), ამასთან, ითვლება დირექტორის მოადგილედ კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის დარგში. ამ სკოლის IX² კლასში, საკონტროლო წერის შედეგების მიხედვით, 27 მოსწავლიდან არადამაკმაყოფილებელი შეფასება „2“ დაეწერა 18 მოსწავლეს.

რაიონის შემოწმებულ სკოლებს არავითარი ღონისძიება არ გაუტარებიათ სასათბურო მეურნეობის მოსაწყობად. მათ კვალსათბურებიც კი არა აქვთ. დაუგეგმავი და მოუვლელია ახაშენისა და შაშიანის სასწავლო-საცდელი ნაკვეთები, მათზე არ ტარდება ცდები და ჰრიქტიკული ხასიათის სამუშაოები, რის გამოც სკოლები არ მონაწილეობენ კონკურსში—„ნორჩ ნატურისტთა დახმარება სკოლას“. სათანადო ღონისძიებები არ ტარდება საქართველოს სსრ განათლების მინისტრისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ერთობლივი ბრძანების „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში, სკოლისგარეშე და სხვა საბავშვო დაწესებულებებში სასკოლო სატყეოს შექმნის შესახებ“ შესრულების უზრუნველსაყოფად.

შემოწმებული სკოლების დაწყებით კლასებში არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ მასწავლებლები: ს. დარაშვილი (კარდენახის საშ. სკოლა.), ე. მამისაშვილი და გ. ცანკაშვილი (სოფ. გურჯაანის საშუალო სკოლა), ს. ბიწკინაშვილი და დ. ჯაჭვაძე (შაშიანის საშ. სკოლა) თ. კობიაშვილი, მინდიაშვილი და ნ. ქართველიშვილი (ახაშნის საშ. სკოლა) და სხვა. ქართულ ენაში ტექსტზე მუშაობის დროს ისინი კმაყოფილდებიან გაკვეთილის მასალის მხოლოდ წაკითხვით და ყურადღებას არ აქცევენ მხატვრული ნაწარმოების ცალკეული მომენტების თავისებურებებს, ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ნაწარმოებში აღმზრდელობითი ხასიათის მომენტებს, ღარიბია მოსწავლეების სალექსიკონო მასალის მარაგი, დაბალია მათი აკადემიური მომზადების დონე. გულისდასმით არ სწორდება მოს-

წავლეების მიერ შესრულებული წერითი ნამუშევრები, მასწავლებლები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ამოცანებას ამოხსნას, ზეპირ ანგარიშს, მოსწავლეების დამოუკიდებელ მუშაობას და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასწავლებელმა ს. ბიწკინაშვილმა III კლასში საშინაო დავალების შემოწმების დროს ვერ შენიშნა მოსწავლეების მიერ საშინაო წერის დროს დაშვებული შეცდომები. მაგ. „დასაძახნად“, „ჩამოერთმივათ“ „სტანიცა“ და სხვა. მან ახალ გაკვეთილზე, 20 სიტყვის ახსნის ნაცვლად, მხოლოდ 6 სიტყვა განმარტა.

მასწავლებელი ე. მამისაშვილი II კლასში საფუძვლიანად არ ამოწმებს მოსწავლეთა ცოდნას და საშინაო დავალებების შესრულებას; ის კლასს აძლევს გაუგებარ კითხვებს, მაგ. კლასს ეკითხება: „სიტყვა ქარს ჩამოვაცილოთ პირველი მარცვალი, რას მივიღებთ?“ შემდეგ თვითონვე განმარტავს: „მივიღებთ ათის“(?).

მასწავლებელმა ლ. ჯაჭვაძემ II კლასში, ნაცვლად მოკლე აღნიშვნებისა, დაფაზე ამოცანის ტექსტი დაწერა, რომლის გადაწერას მოსწავლეებმა 13 წუთი მოანდომეს, მასწავლებელმა თითქმის მთელი გაკვეთილი ერთი ამოცანის ამოხსნას მოანდომა, თუმცა ეს მასალა კლასისათვის მაინც გაუგებარი დარჩა. ამ კლასის მოსწავლეებმა ვერ შეძლეს დაესახელებინათ გამრავლების კომპონენტები.

დაწყებით კლასებში სათანადო ყურადღება არ ექცევა სახვითი ხელოვნების, სიმღერა-მუსიკის, შრომითი სწავლებისა და ფიზკულტურის სწავლებას. დასახელებულ საგნებს ხშირად არასპეციალისტები ასწავლიან. ზოგჯერ ამ საგნების სწავლებისათვის განკუთვნილ საათებს სკოლის დირექტორი მხოლოდ მასწავლებლების განაკვეთების შევსების ან პენსიონერ მასწავლებელთა თხოვნის დასაკმაყოფილებლად იყენებს.

სკოლების შემოწმების პერიოდში გამოირკვა, რომ გარკვეულ წარმატებებთან ერთად მოსწავლეთა დაწყებითი სამხედრო მომზადების საქმეში ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებია. მაგალითად, ყველა სკოლას არა აქვს იარაღების შემოწმების ჟურნალი ფორმა № 8-ის მიხედვით, ზოგიერთი სკოლაში სამხედრო კაბინეტი მოუწესრიგებელია, ამასთან, არა აქვთ მცირეკალიბრიანი შაშხანის სასროლი ტირი. ამ საგნის მასწავლებლების მიერ მოუმზადებლად ტარდება ზოგიერთი გაკვეთილი, დაბალია მასალის შეთვისების ხარისხი და სხვა. მაგ. შაშიანის საშუალო სკოლაში (მასწავლებელი ნ. ბენიძე) გაკვეთილი „კალაშნიკოვის ავტომატი“

ახსნილ იქნა მოკლედ, ამიტომ ახალი მასალა ყველა მოსწავლემ კარგად ვერ აითვისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფ. კარდენახის საშუალო სკოლის სანიტარულ რაზმელთა მომზადების მასწავლებელმა ე. რაზმაზიშვილმა X კლასის გოგონებთან გაკვეთილი ზეპირსიტყვიერად ჩაატარა; მან არ შეასრულა პრაქტიკული ხასიათის სამეშაო, რომელიც პროგრამით არის გათვალისწინებული.

გურჯაანის რაიონის ზოგიერთ სკოლას ბავშვთა და მოზარდთა შორის სპორტული ღონისძიებების ჩატარების საქმეში აქვს სერიოზული ნაკლოვანებები.

რაიონში დღეისათვის სპორტული დარბაზი მხოლოდ ოთხ სკოლაშია, აქედან ორი სპორტული დარბაზის დამხმარე სათავსოები, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, სხვა დანიშნულებით იყო გამოყენებული (ახაშნის საშ. სკოლა, მასწავლებლები: თ. ჯანრაშვილი, თ. სონღულაშვილი, ო. თარხნიშვილი, (შაშიანის საშ. სკოლა მასწავლებელი შ. ღორთლიშვილი), ყველა სკოლა უზრუნველყოფილი არ არის სპორტული ინვენტარით, ხოლო სკოლის ღია სპორტული მოედანი მოუვლელი და ანტისანიტარულ მდგომარეობაშია (მაგ. ქ. გურჯაანის საშ. სკოლა). რაიონის არცერთ სკოლას და თვით სასპორტო სკოლასაც არა აქვს საცურაო აუზი, ცურვა კი, როგორც ერთ-ერთი სახე, მშთ-ს ყველა საფეხურის ნორმაში შედის, ამიტომ ფორმა № ოშ-7, სადაც ცურვის ნორმების შესრულებაც უნდა შედიოდეს. განათლების სამინისტროში არასწორადაა წარმოდგენილი.

ველისციხის, სოფ. გურჯაანის, შაშიანის, ვაზისუბნის და ზოგიერთი სხვა სკოლის IV კლასებში ფიზკულტურის გაკვეთილები განაწილებული არ არის სპეციალური განათლების მქონე მასწავლებლებზე. კარდენახის საშ. სკოლაში ფიზკულტურაში მეოთხედურ ნიშანს „ჩათვლას“ წერენ. სკოლებში ცუდად ტარდება მოსწავლეთა სამედიცინო კომპლექსური შემოწმება.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ვაზისუბნის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი შ. კულალაშვილი, რომელიც გაკვეთილებს სრულიად მოუმზადებლად ატარებს. სკოლაში, სადაც 812 მოსწავლე ირიცხება, არ მოიპოვება არავითარი სპორტული ინვენტარი, ამასთან, მოსწავლეები ფიზკულტურის გაკვეთილებზე

ყოველთვის ფორმის გარეშე ცხადდებიან და სპორტულ ვარჯიშებს არ ასრულებენ; მასწავლებელი შ. კულალაშვილი მიმდინარე სასწავლო წელს ფიზკულტურის 1967—1968 სასწავლო წლის პროგრამით მუშაობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, პროფესიული ორიენტაციისა და უსაფრთხოების წესების დაცვის უზრუნველსაყოფად რაიონის შემოწმებულ სკოლებში არადამაკმაყოფილებელი ღონისძიებები ხორციელდება.

შრომითი სწავლებისათვის სათანადო პირობები არ არის შექმნილი კარდენახის საშუალო სკოლაში (დირექტორი ალ. მჭედლიშვილი, სახელოსნოს გამგე კ. კორკოტაშვილი). აქ ხეზე და ლითონზე მუშაობისათვის გამოყოფილი აქვთ ოთახები და, ერთი შეხედვით, შრომითი სწავლებისათვის თითქოს სხვა პირობებიც არსებობს, შემოწმებით გამოირკვა, რომ სახელოსნოებში არ არის დენის წყარო, რის გამოც ამ საგნის სწავლებისათვის მიღებული ჩარხები და სხვა დანადგარები გამოუყენებელია, ხოლო პრიმიტიული იარაღებით მუშაობა მოსწავლეებისათვის საინტერესო არ არის და უშედეგოა.

გურჯაანის საშუალო სკოლის ხელმძღვანელობამ, პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით, სასკოლო სახელოსნო, რომელსაც სკოლის I სართულზე საკმაოდ კეთილმოწყობილი სათავსო ჰქონდა გამოყოფილი, სკოლის სარდაფში გადაიტანა, სადაც ჩარხები და დანადგარები ჯერ კიდევ არ არის დამონტაჟებული. შრომითი ჩვევების გამომუშავებისათვის მოსწავლეებს არა აქვთ სათანადო პირობები.

სათანადო ღონისძიებები არ ტარდება არსებული დადგენილების—„ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციისათვის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“ შესრულების უზრუნველსაყოფად. სკოლებისა და კლასის ხელმძღვანელების სამუშაო გეგმებში შეტანილი არ არის და იშვიათად მზადდება ღონისძიებები, რომლებიც პროფტექნიკური განყოფილებისა და პროფორგანიზაციის საკითხებს ეხება. საქმიანი კავშირი არ არის დამყარებული მრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელმძღვანელებთან, არ ხდება მოწინავე ადამიანებთან და შრომის გმირებთან შეხვედრები, არ ტარდება წარმოებისა და სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციების შეკრებები, სადაც შეი-ძლება ჩატარდეს კულტურულ-მასობრივი ღონისძიებები

და ერთობლივი კომკავშირული კრებები— წარმოების მოწინავეთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების, პროფესიების არჩევისა და სხვა საინტერესო საკითხებზე. მშობლებთან და მოსწავლეებთან იშვიათია ლექციები თემებზე: „სკოლა და პროფტექნიკური განათლება", „სახალხო მეურნეობა და მუშათა კლასი", „სასოფლო-სამეურნეო წარმოება და კომპლექსური მექანიზაცია", „მოსწავლეთა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომა", „პროფესია და პიროვნება" და სხვა. არ ტარდება სასწავლო და საწარმოო ხასიათის ექსკურსიები პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებში, წარმოებებსა და მეურნეობებში.

ამის შედეგია ის, რომ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში შემოწმებული 5 სკოლის 772 კურსდამთავრებულიდან უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს—157, საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში ჩაირიცხა—128. პროფტექნიკურ სასწავლებელში—43, წარმოებასა და მეურნეობაში მუშაობს—278, გაწვეულია საბჭოთა არმიის რიგებში—52, სოლო საზოგადოებრივ—სასარგებლო საქმიანობაში არ მონაწილეობს—108 (კურსდამთავრებულთა 14%).

გამოირკვა, რომ შემოწმებული სკოლების დირექტორებისა და კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორებისათვის ცნობილი არ არის დოკუმენტები და მასალები, რომლებიც განსაზღვრავს ორგანიზატორის საქმიანობას და მის უფლება-მოვალეობას. არ იციან, რომ ორგანიზატორი არის ადმინისტრაციის წარმომადგენელი, რომელიც ხელმძღვანელობს მასწავლებლებისა და კლასის ხელმძღვანელების მიერ ჩატარებულ ყველა აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებას, მეთოდურ დახმარებას უწევს მათ, ახდენს ამ მიმართულებით სკოლის მთელი საქმიანობის კოორდინაციას.

სწორედ ეს მიგვაჩნია იმის მიზეზად, რომ სკოლისგარეშე და კლასგარეშე მუშაობის მრავალი ღონისძიება სკოლებში არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება.

სოფ. შაშიანის საშუალო სკოლის კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორს შ. ჩეკურიშვილს აქვს სათანადო განათლება და ამ თანამდებობაზე მუშაობის სტაჟი. მიუხედავად ამისა, იგი მოუფიქრებლად ადგენს სამუშაო გეგმას და ცოტას აკეთებს სკოლაში აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებების განხორციელებისათვის. მის სამუშაო გეგმაში შეტანილი არ არის საგნობრივი და ტექნიკური წრეების მუშაობის, საკავშირო პიონერული მარშის „მარშუტების" მიმდინარეობის, ინტერნაციონალური აღზრ-

დის, პროფესიული ორიენტაციისა და საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში მოსწავლეების ჩაბმის, ესთეტიკური აღზრდის, საკონკურსო ღონისძიებების და სხვა ძირითადი საკითხები. ასევე, შემოწმებული სკოლების კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორები არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ საკ. ალკა რიგებში მისაღებ პიონერებთან, არ ინტერესდებიან მშობელთა და მოსწავლეთა კომიტეტების მუშაობით, არ ხელმძღვანელობენ პატრიოტულ აღზრდასთან დაკავშირებულ „ცისკარისა“ და „ოლიონოკის“ თამაშობების ორგანიზაციას, სკოლების პიონერულ რაზმეულებში არაარის საკავშირო მარშის „მზად ვარ“ მარჯვენა ფლანგების არცერთი რაზმი.

ზოგჯერ ესთეტიკური აღზრდისა და პიონერებთან მუშაობის კარგ ორგანიზაციას ხელს უშლის ამ დანიშნულებისათვის შესაფერისი სათავსოების უქონლობა. მაგ. ახაშენის საშუალო სკოლას პიონერული მუშაობისა და მუსიკალური სტუდიისათვის ერთი ოთახი აქვს გამოყოფილი.

ცუდად მუშაობს ველისციხის უფროსი პიონერხელმძღვანელი ლ. შუბაშვილი, რომელსაც არა აქვს 1972—1973 სასწავლო წლის რაზმეულის სამუშაო გეგმა, ასევე არა აქვს პიონერული აქტივის და რაზმის ხელმძღვანელების სწავლების სამუშაო გეგმები. ამ სკოლის 557 პიონერიდან ვერ ასწრებს 108 პიონერი.

ზოგიერთი კლასის ხელმძღვანელი სრულიად უპასუხისმგებლოდ ადგენს სამუშაო გეგმებს. მაგ. შაშიანის საშუალო სკოლის VII[1] (ხელმძღვანელი ა. ფარანიშვილი) VII[2] (ხელმძღვანელი ქ. ბიწკინაშვილი), ასევე კარდენახის საშ. სკოლის IV[2] (ხელმძღვანელი ნ. მირიანაშვილ„) და IV[3] (ხელმძღვანელი ა. აკოფაშკილი) პარალელური კლასების სამუშაო გეგმები ურთიერთის ასლებს წარმოადგენს. გეგმებში არ ჩანს კლასთან და მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობის, შრომითი და მასობრივი ღონისძიებების და სხვა ისეთი საკითხები, რომლებმაც უნდა განსაზღვრონ კლასის ხელმძღვანელის საალმზრდელო მუშაობის ხასიათი.

სკოლის დირექტორები საჭირო დახმარებას და კონტროლს არ ახორციელებენ მშობელთა კომიტეტების მუშაობაზე, რომლებიც ხშირად სრულიად ფორმალურად არსებობენ. მათ გეგმაში შეაქვთ და იხილავენ ისეთ საკითხებს, რომლებიც სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სრულყოფასა და მოსწავლეთა აკადემიური მომზადების დონის ამაღლების ღონისძიებებთან უშუალოდ

არ არის დაკავშირებული. შემოწმების პერიოდში მშობელთა კომი-
ტეტების სამუშაო გეგმა რა აღმოჩნდა კარდენახის (დირექტორი
ალ. მჭედლიშვილი) და შაშიანის (დირექტორი ე. დვალიშვილი)
საშუალო სკოლებში. თითქმის ყველა სკოლის საოქმო წანაწერები
(პედსაბჭოს და მშობელთა კომიტეტის ოქმები) არ წარმოადგენს
სასკოლო დოკუმენტს, რომელმაც უნდა გამოხატოს მშობელთა
კომიტეტის მუშაობის შინაარსი და მისი საქმიანობა.

განათლების სამინისტროს მიერ განათლების განყოფილებებისა
და სკოლების მრავალჯერ გაფრთხილების მიუხედავად, სოფ. გურ-
ჯაანის საშ. სკოლაში (დირექტორი მ. მახოშვილი) მშობელთა კო-
მიტეტს შეუგროვებია გარკვეული თანხა, როგორც ჩვენი ამ სკო-
ლაში მუშაობის პერიოდში გამოირკვა, აღნიშნული თანხის ხარჯვი-
სა და ზოგიერთი სხვა საკითხის გამოსარკვევად სოფ. გურჯაანის
საშუალო სკოლაში მივლინებულ იყო საქართველოს სსრ მინისტრ-
თა საბჭოს სახალხო კონტროლის სახელმწიფო კომიტეტის წარმო-
მადგენელი.

საყოველთაო—სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანო-
ნის განხორციელებისა და საყოველთაო—საშუალო განათლებაზე
გადასასვლელად რაიონში გატარებული არ არის ყველა საჭირო
ღონისძიება. განათლების განყოფილების ცნობების მიხედვით, დღე-
სათვის რაიონის სკოლებიდან განთესილია 6 მოსწავლე, შემოწმე-
ბით კი გამოირკვა, რომ კარდენახის საშ. სკოლაში მხოლოდ ერთ
1964—1965 სასწავლო წელს პირველ კლასში მიღებული 101 მო-
სწავლიდან ამავე სკოლის რვა კლასი 1971—1972 სასწავლო წელს
დაამთავრა 64-მა მოსწავლემ. სწავლობს ამავე სკოლის VI, VII და
VIII კლასებში—17, სხვადასხვა სკოლაშია გადასული—16, გარდა-
იცვალა—2, ავადმყოფია 1 და განთესილია (გათხოვდა) 1 მოსწავლე.
ანალოგიური მდგომარეობაა შაშიანის საშ. სკოლაშიც.

საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის უზრუნველ-
საყოფად სკოლები სისტემატიურად არ აკონტროლებენ მოსწავლე-
თა კონტინგენტის ცნობებს. მათ ცალკე არა აქვთ იმ ახალგაზრდე-
ბის სიები, რომლებმაც რვა კლასი დაამთავრეს და სწავლა არც-
ერთი ტიპის სკოლაში არ გაუგრძელებიათ. სკოლები სასკოლო
ასაკის ბავშვთა აღწერის სიებს არ უდარებენ საკომლო და საბი-
ნაო დავთრების ჩანაწერებს, ამასთან, არ მოეპოვებათ საჭირო მასა-
ლები იმ ახალგაზრდების შესახებ, რომლებიც საცხოვრებელი ბინე-
ბის მიჯედვით აღირიცხნენ, არსად სწავლობენ და არ არიან ჩაბმულ-

ნი საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში. ასეთი ახალგაზრდების შრომით საქმიანობაში ჩაბმისა და მათი პროფტექნიკურ ან სპეციალურ სასწავლებლებში მოსაწყობად სკოლები საკითხს არ აყენებენ რაიონის ხელმძღვანელობის წინაშე.

ზოგიერთ სკოლაში დაბალია აკადემიური მოსწრება 1972—1973 სასწავლო წლის I და II მეოთხედების მიხედვით. მაგ. ველისციხის საშუალო სკოლის შეფასებული 1200 მოსწავლიდან II მეოთხედში ვერ ასწრებდა 275 მოსწავლე (23 %), ხოლო 544 პიონერიდან—154 პიონერი (28,4 %), ამ სკოლაში ცუდი შედეგები გამოვლინდა ჩვენ მიერ საკონტროლო წერების ჩატარების შედეგად. ეს ცნობები ცალკე კლასებისა და საგნების მიხედვით ასეთია:

№	საგანი	კლასი	მასწავლების რაოდენობა	საკონტროლო შედეგი	შეფასება „5"	„4"	„3"	„2"	მასწავლებლის გვარი და სახელი
1	ქართული ენა და ლიტერატურა	X3	30	23			5	18	ე. ბახტიაშვ.
2	რუსული ენა და ლიტერატურა	X4	30	21			3	18	მ. არუთინოვა
3	მათემატიკა	X	20	20		5	10	5	ნ. გელაშვილი
4	ქიმია	X1	—	20			4	16	ნ. ყვავილაშვ.
5	ბიოლოგია	VII4	32	32			12	29	თ. ახალაშვ.
		X4	30	21		2	10	9	ე. სომხიშვილი
		VI	38	35	1	4	18	12	მ. მღებრიშვ.
6	დაწყებითი კლასები								
	ა) ქართული	III1	—	27	—	—	14	12	ნ. ფურცელაძე
	ბ) მათემატიკა	III4	—	22	—	3	9	10	ნ. შ.ნიძე
	გ) ქართული	III2	—	24	—	—	10	14	ა. ჯაჯანაშვ.

საკონტროლო წერების შედეგები ასევე არადამაკმაყოფილებელია სხვა შემოწმებულ სკოლებშიც.

საკონტროლო წერების ჩატარების პერიოდში გამოირკვა, რომ ველისციხის საშუალო სკოლის მოსწავლეების ერთი ნაწილი თავს არიდებს საკონტროლო წერას და გაკვეთილზე არ ცხადდება, ხოლო ზოგიერთი მასწავლებელი გადაჭარბებით აფასებს თავის პე-

დაგოკიურ დამსაბუერებას და გაუმარილებელი მიზეზებით ხანის მოსწავლეთა დაბალი აკადემიური მოსწრების დონეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგიერთ საშუალო სკოლაში არადამაკმაყოფილებელია მეთოდური მუშაობა. მეთოდური კომისიების სამუშაო გეგმებში შეტანილი ზოგიერთი საკითხი არაკონკრეტული, უშინაარსო და ზოგადია, ხოლო ზოგიერთი მოხსენება და ოქმი, რომლებიც მეთოდურ მუშაობას აღრიცხავენ, უშინაარსოა. სხდომაზე იშვიათად იკითხება ლექცია—მოხსენებები სწავლისა და აღზრდის აქტუალურ საკითხებზე; იშვიათია მიწინავე მასწავლებელთა მუშაობის გამოცდილების გაზიარება და განზოგადება.

არადამაკმაყოფილებელია ზოგიერთი სკოლის დირექტორის და მისი მოადგილის მიერ მოსმენილი გაკვეთილების ანალიზი. მაგალითად, შაშიანის საშ. სკოლის დირექტორის გაკვეთილებზე დასწრების ჩანაწერები ქართულ ენასა და ლიტერატურაში 10—12 სტრიქონისაგან შედგება. მასში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი მეთოდური ხასიათის შენიშვნებზე და გაკვეთილის მსვლელობის დროს შემჩნეული ნაკლოვანებების დაძლევის გზებზე. ანალოგიური მდგომარეობაა კარდენახის საშ. სკოლაში.

დირექტორი და მათი მოადგილეები იშვიათად ესწრებიან გაკვეთილებზე დაწყებითი კლასების მასწავლებლებს. თითქმის ყველა დირექტორს სასწავლო წლის განმავლობაში მოსმენილი აქვს დაწყებითი კლასების დაახლოებით 3—5 გაკვეთილი, ხოლო სასწავლო ნაწილის კამკეებს —9—10 გაკვეთილი. თითქმის ყველა შემოწმებულ სკოლაში იშვიათად ისილავენ ახალ სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებზე გადასვლის შედეგებს და ცალკე სასწავლო საგნების სწავლების მდგომარეობას, სასწავლო მეოთხედების ბოლოს კი კმაყოფილდებიან კლასების მიხედვით მხოლოდ ციფრობრივი მაჩვენებლების ჩამოთვლით. ოქმები ენობრივად არადამაკმაყოფილებლად არის შედგენილი, დადგენილებები ზოგადია.

ზოგიერთ სკოლაში დარღვეულია გაკვეთილების ცხრილის შედგენის არსებული წესი. მაგ. ველისციხის, კარდენახის, სოფ. გურჯაანის და შაშიანის საშ. სკოლების გაკვეთილების ცხრილში ხშირად V—VI გაკვეთილად შეტანილია მათემატიკა, ფიზიკა, ქართული ენა და ლიტერატურა, რუსული ენა და ლიტ., ქიმია და უცხო ენა. ახაშენის საშ. სკოლაში ფიზკულტურის გაკვეთილები 1, 2 და 3 გაკვეთილად არის შეტანილი. თითქმის ყველა სკოლის

დაწყებით კლასებში დაწყვილებულია ქართული ენის გაკვეთილები. ზოგჯერ სკოლებში საკონტროლო წერებს ორშაბათს და შაბათს ატარებენ.

სკოლები უყურადღებოდ ეკიდებიან საგძნობრივი, ტექნიკური და ნატურალისტური წრეების ჩამოყალიბებისა და მათთან მუშაობის საქმეს. ხშირად, დასახელებული წრეების სამუშაო გეგმებში შეტანილია საკითხები, რომლებიც მხოლოდ თეორიული ხასიათის მასალებს შეიცავენ. მაგ. საგნობრივი წრეების სამუშაო გეგმებში შეტანილი არ არის ახლად გამოსული მხატვრული ნაწარმოებების, ფოლკლორული მასალების განხილვისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, ხოლო ტექნიკური და ნატურალისტური წრეების სამუშაო გეგმებში—საცდელი და პრაქტიკული ხასიათის სამუშაოები. არცერთ სკოლაში არ არის მოდელისტთა, ფოტო ან რადიომოყვარულთა, მეყვავილეთა, მებოსტნეთა და სხვა წრეები.

სასკოლო ბიბლიოთეკები განსაკუთრებით ღარიბია მეთოდური ლიტერატურით, სასწავლო ტაბულებით, სქემებით, პლაკატებით, ცხრილებით, მკვლევართა და მეცნიერთა სურათებით, ყოველთვის არ ხდება ახალი მხატვრული, ტექნიკური და საბავშვო ლიტერატურის განხილვა.

სკოლის დირექტორები და მათი მოადგილეები სისტემატურ კონტროლს არ ახორციელებენ მოსწავლეების მეცადინეობაზე გამოცხადების აღრიცხვის საქმისადმი. ხშირად, ჟურნალის ჩანაწერების მიხედვით, კლასში თითქოს ყველა მოსწავლე ირიცხება, ხოლო სხვადასხვა საგანში საკლასო წერებზე კი 3—4 მოსწავლის გამოუცხადებლობა არის აღნიშნული.

სკოლებში ჯერ კიდევ ადგილი აქვს მოსწავლეთა ყოფაქცევის შეფასების არასწორად გამოყვანის ფაქტებს. კლასის ხელმძღვანელები და სკოლის ადმინისტრაცია ყოფაქცევის შეფასებისას მხედველობაში ღებულობენ მხოლოდ აკადემიურ წარმატებას და არ ითვალისწინებენ მის სანიმუშო ქცევას და სკოლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას. ამ საკითხზე დაშვებული ინსტრუქციის უცოდინრობას ან კლასის ხელმძღვანელის ძალზე ცუდ მუშაობას უნდა მიეწეროს, რომ სოფ. გურჯაანის საშუალო სკოლის X^3 კლასში სანიმუშო ყოფაქცევის მხოლოდ ერთი მოსწავლეა; კარდენახის საშუალო სკოლის ერთ მეათე კლასში, სადაც 25 მოსწავლეა, ყოფაქცევაში არადამაკმაყოფილებელი შეფასება აქვს 7 მოსწავლეს. შაშიანის საშუალო სკოლის II კლასის

მასწავლებელი ნ. ჯაჭვაძე კი მოსწავლეების ყოფაქცევას ისევ ხუთბალიანი სისტემით აფასებს. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა ყოფაქცევის შეფასების ინსტრუქციის არასწორად გამოყენების შემთხვევებს ადგილი აქვს სხვა შემოწმებულ სკოლებშიც.

სერიოზული ნაკლოვანებები, რომლებიც გურჯაანის სკოლების მუშაობაში გამოვლინდა, იმის შედეგია, რომ სკოლის დირექტორები, მათი მოადგილეები სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში და სკოლისგარეშე და კლასგარეშე აღსაზრდელობითი მუშაობის ორგანიზატორები სრული პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან სასკოლო მუშაობის დაგეგმვის, მეთოდური მუშაობის, მასწავლებელთა მუშაობაზე დახმარებისა და კონტროლის, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის, მოსწავლეთა აღმზრდელობითი ღონისძიებების კოორდინირების, მოსწავლეთა ყოფაქცევისა და აკადემიური მომზადების დონის ამაღლების სხვა ღონისძიებებს.

ნ. ახვლედიანი (ხელმძღვანელი), ი. წოწონავა, გ. გიორგობიანი, ა. ნემსაძე, გ. შეყლაშვილი, ქ. დემეტრაძე, დ. მახარაძე, გ. პაიჭაძე, უ. თეთრაშვილი, ჯ. თოფურია, ა. ჯორჯაძე, ზ. ოდიშარია, ი. უგულავა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წლის 7 ივნისის ბრძანება № 401

გარდაბნის რაიონის სალამოს სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

აღვნიშნავ, რომ გარდაბნის რაიონის სალამოს ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში ერთგვარი ღონისძიებანი ტარდება სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად.

სკოლებს დროულად დაუზუსტებიათ მათ სამოქმედო ტერიტორიაზე განლაგებულ წარმოება-დაწესებულებებში მომუშავე 16—20 წლის ასაკის სათანადო განათლების არმქონე მომუშავე ახალგაზრდების სიები, გაუშლიათ მათთან საჭირო მუშაობა, რის შედეგადაც კონტინგენტის სახალხო მეურნეობის გეგმა შესრულებულია: რაიონის სახალხო სკოლებში გეგმით უნდა გახსნილიყო 65 ფინანსური კლასი 910 მოსწავლით, ფაქტიურად გაიხსნა 65 კლასი 966 მოსწავლით.

დამაკმაყოფილებლად მუშაობენ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები გ. გ. ნადიმაშვილი (სოფელ დიღმის საშუალო სკოლა) და ნ. გ. სულაშვილი (გარდაბნის სალამოს საშუალო სკოლა), რუსული ენისა და ლიტერატურის-ნ. ვ. პერკოვა (გარდაბნის სალამოს საშუალო სკოლა), ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობის-რ. ტაიროვა (გარდაბნის სალამოს საშუალო სკოლა), მათემატიკის მასწავლებლები ტ. ე. მუმლაძე და ს. ვ. ზივზივაძე (დიღმისა და გარდაბნის სალამოს საშუალო სკოლები). ისინი საფუძვლიანად ფლობენ საგანს და მისი სწავლების მეთოდებს.

მიუხედავად აღნიშნულისა, გარდაბნის რაიონის სალამოს საშუალო სკოლების მუშაობაში შეინიშნება არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარკვეული ხარვეზებია სასკოლო მუშაობის დაგეგმვაში გამარჯვების, სოფელ დიღმისა და ღიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობასთან არსებულ საღამოს საშუალო სკოლებში (დირექტორები: ნ. მელიქიძე, ო. ღლონტი, ს. ლომაძე). სკოლის წლიური სამუშაო გეგმები ზოგადი და ტრაფარეტული ხასიათისაა, გეგმებს არ ეტყობა, რომ ისინი პედაგოგიური კოლექტივის შემოქმედებითი განსჯისა და ძიების გზითაა შექმნილი. გეგმებს აკლია კონკრეტულობა, არ ჩანს სკოლის მუშაობის ავ-კარგი და მათგან გამომდინარე ღონისძიებანი. გეგმებში შეტანილი არ არის ისეთი აუცილებელი საკითხები, როგორიცაა ღონისძიებანი მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების, მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების განზოგადების, დამწყებ მასწავლებლებთან მუშაობისა და სხვა საკითხები. გეგმების შედგენისას გულგულებელყოფილია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის მოთხოვნები სასკოლო მუშაობის დაგეგმვის შესახებ. წლიური გეგმები დირექტორებს თავისებურად შეუცვლიათ და ნაცვლად 6 განყოფილებისა, შედგება 3 განყოფილებისაგან (გამარჯვების საღამოს საშუალო სკოლა). გეგმებში არაფერია ნათქვამი წარმოება-დაწესებულებებთან კავშირის შესახებ, ამასთან ხშირია ენობრივი შეცდომები და საკითხები არეულია ერთმანეთში. ასევეა კლასის ხელმძღვანელთა გეგმებიც. გეგმებში არ ჩანს კლასის წინაშე მდგომი ამოცანები, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებით ნაკარნახევი საკითხები, სკოლისა და წარმოების ურთიერთობით გამოწვეული ღონისძიებანი და სხვ. გარდაბნის რაიონის საღამოს საშუალო სკოლებში კლასის ხელმძღვანელთა ნახევარწლიური საალმზრდელო გეგმები ზოგჯერ არ ითვალისწინებს მოსწავლეთა შემადგენლობის სპეციფიკას, მასთან მუშაობის პირობებს, რის გამოც სხვადასხვა კლასის ხელმძღვანელთა გეგმები თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებენ ერთმანეთს.

ნაკლოვანებებით ხასიათდება პედაგოგიური საბჭოს მუშაობა გამარჯვების, სოფელ დიღმისა და დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობასთან არსებულ საღამოს საშუალო სკოლებში. პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე არ იხილება სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ცალკეული მნიშვნელოვანი საკითხები. სოფელ გამარჯვების საღამოს საშუალო სკოლის პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე მოსმენილი ქიმიისა და ბიოლოგიის სწავლების მდგომარეობის შესახებ მასალები მოთავსებულია პედსაბჭოს საოქმე წიგნის ნახევარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვერდზე, სადაც არ არის ანალიზი მოცემული ამ საგნებში ასოცირებული მდგომარეობის შესახებ. სოფელ დიღმისა და დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობასთან არსებულ საღამოს საშუალო სკოლის დირექტორებს არა აქვთ შედგენილი პედაგოგიური საბჭოს სამუშაო გეგმები. დღემდე ჩატარებულია მხოლოდ ორ-ორ სხდომა. პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე არ იხილება ცალკეული დისციპლინების სწავლების მდგომარეობა და სკოლის მუშაობის ავ-კარგი, მიღებული დადგენილებები ზერელე და არაფრისმთქმელია.

დიღმის და სამგორის საღამოს სკოლებში მოუვლელია საკლასო ჟურნალები, ადგილი აქვს ნიშნების გადასწორების ფაქტებს, არასწორად ხდება გაცდენების აღრიცხვაც, მთელ რიგ საგნებში სისტემატურად არ ხდება დამუშავებული მასალის შეტანა, ზოგან ჩანაწერები გადაშლილია. მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის მასწავლებლებს დამუშავებული მასალა შეაქვთ უხეიროდ („ვარჯიში ამოცანებზე", „განვლილი მასალის განმეორება", „გაკვეთილი იგივე"). შესწავლილ სკოლებში არასწორადაა გამოყვანილი პირველი სემესტრის ნიშნები. ასე, მაგალითად, სამგორის საშუალო სკოლასთან (ყოფ. დირექტორი შ. ხუსკივაძე, დირექტორის ყოფილი მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში გ. გოცირიძე) არსებულ საღამოს მე-11 კლასის მოსწავლე ო. ჯ. საკლასო ჟურნალში შეტანილია 1972 წლის 13 ნოემბერს, რის შემდეგ რუსულ ენაში მხოლოდ ერთხელაა შეფასებული, პირველი სემესტრის ბოლოს კი ყველა სასწავლო საგანში დადებითი ნიშანი უწერია, ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობაში კი „4". ანალოგიური მდგომარეობაა მე-10 კლასშიც. მოსწავლე ს. ბ.-ს სემესტრის ნიშნები არ არის გამოყვანილი მიმდინარე შეფასებიდან, დიღმის საღამოს საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე ა. წ. ფიზიკაში პირველი სემესტრის განმავლობაში ხუთჯერაა შეფასებული და ხუთივეჯერ „3" უწერია, სემესტრის ბოლოს კი-„4." გარდაბნის საღამოს საშუალო სკოლაში მეთერთმეტეკლასელი ე. ბ. სასწავლო წლის პირველ ნახევარში რუსულ ლიტერატურასა და საზოგადოებათმცოდნეობაში არცერთხელ არ არის შეფასებული, სემესტრის ბოლოს კი „3" უწერია.

ადგილი აქვს კლასის ხელმძღვანელების მიერ საგნის მასწავლებლის დაუკითხავად ნიშნების დასმასა და საკლასო ჟურნალსა და სხვა დოკუმენტებში შეტანის შეხთხვევებს, რაც სკოლის ხელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძღვანელების უკონტროლობისა და საქმისადმი ზერელე დამოკიდებულების შედეგია.

რვა კლასის დამთავრების მოწმობებისა და საშუალო განათლების ატესტატების აღრიცხვის წიგნი ზოგან უპასუხისმგებლოდ არის ნაწარმოები. სოფელ დიღმის საღამოს საშუალო სკოლაში გაუცემელია საშუალო განათლების 5 ატესტატი, აქედან ერთი შეუვსებელია.

შესწავლილ სკოლებში წესრიგში არ არის მოყვანილი მოსწავლეთა პირადი საქმეები, ზოგიერთ მოსწავლეს არა აქვს დაბადების მოწმობა, ან მუშაობის ცნობა. სოფელ დიღმისა და დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობასთან არსებულ საღამოს საშუალო სკოლებში ადგილი აქვს სწავლაში 3 წელზე მეტი წყვეტის მქონე ახალგაზრდების შესაფერ კლასებში მისაღები გამოცდების გარეშე ჩარიცხვას.

გაკვეთილის გეგმები ზოგჯერ მოუფიქრებლად, ნაუცბათევად იწერება. მათში გარკვეულად არ ჩანს გაკვეთილის ძირითადი მომენტები, ზოგჯერ ენობრივად არასწორად და ლოგიკურად არ არის დასმული კითხვები, აღნიშნული არ არის მეთოდები, ხერხები, თვალსაჩინოება, რომელიც გამოიყენება გაკვეთილზე და სხვ.

დარღვეულია გაკვეთილების ცხრილის შედგენის პრინციპები: დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობასთან არსებულ და გარდაბნის საღამოს საშუალო სკოლებში ერთდა იმავე დღესაა შეტანილი გაკვეთილიც და კონსულტაციაც. დიღმის საღამოს სკოლის მე-8 კლასში ხუთშაბათის ცხრილში მოცემულია ფიზიკა, გეომეტრია, ალგებრა, რომელსაც ერთი და იგივე მასწავლებელი ასწავლის. სამგორის საშუალო სკოლასთან არსებულ საღამოს მე-10 და მე-11 კლასებში მასწავლებელ რ. კოზაევის საათები ფიზიკასა და გეომეტრიაში შეტანილია ერთდროულად, მესამე გაკვეთილად.

შესწავლილი სკოლების დირექტორები სუსტად ანხორციელებენ ხელმძღვანელობასა და კონტროლს შიდასასკოლო მუშაობაზე: გარდაბნის საღამოს საშუალო სკოლის დირექტორს დ. გ. სიხარულიძეს მოსმენილი აქვს 20 გაკვეთილი, მის მოადგილეს სასწავლო მუშაობის დარგში ნ. მ. ჯაფარიძეს—10, გამარჯვების საღამოს საშუალო სკოლის დირექტორს ნ. ი. მელიქიძეს—13, სოფელ დიღმის საღამოს საშუალო სკოლის დირექტორს ო. კ. ღლონტს—9, ხოლო დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობასთან არსებულ საღამოს საშუალო სკოლის დირექტორს ს. თ. ლომაძეს—არცერთი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოსმენილი გაკვეთილების ანალიზები დაბალხარისხოვანია ... შეუძლია რაიმე პრაქტიკული დახმარება გაუწიოს მასწავლებლებს. ანალიზებში დაშვებულია ენობრივი და აზრობრივი შეცდომები.

გამარჯვების საღამოს საშუალო სკოლა იშვიათად სარგებლობს დღის სკოლის კაბინეტ—ლაბორატორიებით, დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობასთან არსებული საღამოს საშუალო სკოლა კი მოთავსებულია დღის რვაწლიანი სკოლის შენობაში და, ამდენად, მას არა აქვს საშუალება კაბინეტ-ლაბორატორიებით სარგებლობისა.

გარდაბნის რაიონის საღამოს საშუალო სკოლების მასწავლებელთა ერთი ნაწილი ნაკლებ დაინტერესებას იჩენს საკუთარი პედაგო იურ-მეთოდური და მეცნიერული დონის ამაღლებისადმი, არ მუშაობს თვით საგნის, მისი სწავლების მეთოდების და ხერხების დაუფლებისათვის, ვერ იწვევს მოსწავლეებში ინტერესს საგნის შესწავლისადმი, რის გამოც სასურველ შედეგს ვერ აღწევს სწავლებაში.

სუსტად ისწავლება ქართული ენა და ლიტერატურა გამარჯვებისა და დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობასთან არსებულ საღამოს საშუალო სკოლებში. სოფელ გამარჯვებაში ამ საკანს ასწავლის დირექტორი ნ. მელიქიძე, ხოლო დიღმში—დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში ნ. მ. ჩავლეიშვილი. ისინი არასაკმაო პასუხისმგებლობით ეკიდებიან გაკვეთილისათვის მზადებას, არ მუშაობენ საკუთარი ცოდნის დონის ამღლებისა და პედაგოგიური მეთოდების სრულყოფისათვის, ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ ახალ სასწავლო გეგმებსა და პროგრამებზე, მათ მიერ გადაცემული გაკვეთილები როგორც მეცნიერული, ისე პედაგოგიური თვალსაზრისით დაბალ დონეზე დგას, გამარჯვების საღამოს საშუალო სკოლის მე-10 კლასის (მასწავლებელი ნ. მელიქიძე) მოსწავლეებმა შესწავლილი მასალის სუსტი ცოდნა გამოამჟღავნეს, ზოგიერთმა მათგანმა თავის დროზე შესწავლილი აკ. წერეთლის ნაწარმოებებიც კი ვერ ჩამოთვალა. მასწავლებელი ნ. მელიქიძე გაკვეთილზე საუბრობდა შეცდომებით, არათანმიმდევრულად, ხშირად იხედებოდა მაგიდაზე გადაშლილ სახელმძღვანელოში. კიდევ უფრო დაბალი ცოდნა გამოამჟღავნეს ამ სკოლის VIII კლასის მოსწავლეებმა ქართულ ენაში. ზოგჯერ შეცდომებს უშვებს თვით მასწავლებელიც. წინადადებაში—„აღმობრწყინდა მზე დიდებულადა“—მასწავლებელმა სიტყვა „დიდებულად“ განსაზღვრებად მიი-

ჩნია, ხოლო წინადადებაში—„ძმები ხერხეულიძენი გააფთრებენ ებრძოდნენ მტერს“—„გააფთრებით“ და „მტერს“ განსაზღვრებად და პირდაპირ დამატებად ჩათვლა. მასწავლებელი ვერ ფლობს ქართული ენის გრამატიკას, მის კანონებს.

სერიოზული დარღვევებია მოსწავლეთა საკონტროლო წერითი სამუშაოების მხრივაც. არის შემთხვევები, როცა მოსწავლეებს არცერთი წერითი სამუშაო არა აქვთ წლის მანძილზე შესრულებული და დადებითი ნიშნებით არიან სემესტრის ბოლოს შაფასებულნი. მე-8 კლასში სიით 22 მოსწავლე ირიცხება, ნაწერი მხოლოდ 13-ს აქვს, მე-10 კლასში—22-დან 28-ს;

ანალოგიური ნაკლოვანებები ახასიათებს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებას IX—XI კლასებში; მასწავლებლები ნ. ჩავლეიშვილი (დიდმის სასწავლო-საცდელ მეურნეობასთან არსებული საღამოს საშუალი სკოლა), დ. ივანიძე (სოფელ სამკორის საშუალო სკოლასთან არსებული საღამოს კლასები) არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ, ისინი ყურადღებას არ აქცევენ მართლწერისა და მეტყველების საკითხებს.

გაშარჯვების საღამოს საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ო. კ. კოპალეიშვილი სუსტად ფლობს საგანის სწავლების მეთოდებს, ხშირად უშვებს ენობრივი ხასიათის შეცდომებს, არ ასწორებს მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს და არ იცავს საკონტროლო წერის სახეებს, აწერინებს მხოლოდ კითხვებზე პასუხის გაცემას, არ ატარებს საკონტროლო წერას კარნახით ან ნაწარმოების შინაარსზე, მასწავლებელი არაობიექტურად აფასებს მოსწავლეთა ნაწერებს VIII კლ. მოსწავლის გ. გ-ს 15 მარტის ნაშრომში საკმაოდ ბევრი შეცდომაა შენიშნული, ნაშრომი კი შეფასებულია „4-ზე“. 22 მოსწავლიდან საკონტროლო წერის რვეული მხოლოდ 15-ს აქვს.

ანალოგიური ნაკლოვანებები ახასიათებს რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლებას გარდაბნისა და დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობასთან არსებულ საღამოს საშუალო სკოლებში (მასწავლებლები: ზ. კენკებაშვილი, გ. კოზლოვა).

ნაკლოვანებებით ხასიათდება მათემატიკის სწავლება გარდაბნის რაიონის სოფელ დიღმის საღამოს საშუალო სკოლაში. ამ სკოლის მე-11 კლასში ალგებრისა და ელემენტარული ფუნქციების გაკვეთილზე მასწავლებელ ა. ე. გოგოლაძის მიერ მიცემული მარტივი, მოსახსნელი მაგალითები მოსწავლეებმა ვერ შეასრულეს.

მასწავლებელი არ მუშაობს თავის თავზე, არ ემზადება გაკვეთილისათვის, რის გამოც მაჩვენებლიანი და ლოგარითმული ფუნქციების ძირითად თვისებებს ვერ იყენებს მაგალითების ამოხსნის დროს, უშვებს უხეშ შეცდომებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარღვეულია საკონტროლო წერების ჩატარების ნორმები, არაობიექტურად ხდება მოსწავლეთა შეფასება, მეათე კლასის 4 მოსწავლეს და მეთერთმეტე კლასის ერთ მოსწავლეს სასწავლო წლის განმავლობაში არცერთხელ არა აქვთ საკონტროლო წერა შესრულებული, სემესტრის ბოლოს კი დამაკმაყოფილებელი ნიშნით არიან შეფასებული. ამავე სკოლის VII კლასში მასწავლებელი დათუნაიშვილი დროულად არ ასწორებს მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს. ასევე არადამაკმაყოფილებლად ისწავლება მათემატიკა დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობასთან არსებულ, გარდაბნის და ახალი სამგორის საშუალო სკოლასთან არსებულ საღამოს საშუალო სკოლებში (მასწავლებლები: ც. მუმლაძე, ნ. დულარიძე, ი. ზარქუა, რ. კოზაევი), გამარჯვების საღამოს საშუალო სკოლაში (მასწავლებელი ნ. ოქრომელიძე). მასწავლებელი წინასწარ ამოხსნილ მაგალითებს და ამოცანებს აწერინებს მოსწავლეებს საკონტროლო წერის რვეულებში, ამიტომ ნაწერებს აღარ ასწორებს და არ აფასებს.

გარკვეული ნაკლოვანებებით ხასიათდება ფიზიკის სწავლება ახალი სამგორის საშუალო სკოლასთან არსებულ საღამოს მე-11 კლასში (მასწავლებელი რ. კოზაევი). მოსწავლეები კარნახითაც კი ვერ ახერხებენ ფიზიკური ერთეულების სწორად ჩაწერას. მასწავლებელი საგნის სწავლებისას არ იყენებს თვალსაჩინოებას, არ ავარჯიშებს კლასს ამოცანების ამოხსნაზე, ლიბერალურად ახდენს მოსწავლეთა შეფასებას. ასევე დაბალია მოსწავლეთა ცოდნის დონე გამარჯვების საღამოს საშუალო სკოლის მე-9 კლასში (მასწავლებელი ა. ბერიშვილი). მასწავლებელმა მთელი გაკვეთილი „მექანიკის პირველი კანონის“ ჩამოყალიბებას მოანდომა, მაგრამ მოსწავლეებმა მაინც ვერ შეძლეს მისი გამეორება. გამარჯვებისა და დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობასთან არსებულ საღამოს საშუალო სკოლებში ფიზიკას ასწავლიან ქიმიის მასწავლებლები.

სათანადო სიმაღლეზე არ დგას სსრკ ისტორიის სწავლება გამარჯვების საღამოს საშუალო სკოლის VII კლასში (მასწავლებელი ს. წიკლაური). საშინაო დავალებად მიცემული მასალა—„მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი“ არც-

ერთმა მოსწავლემ არ იცოდა. მოსწავლეები ვერ პასუხობენ მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვებზე. მსგავსი მდგომარეობაა IX კლასშიც საზოგადოებათმცოდნეობასა და IX კლასში სსრ კავშირის ისტორიაში. სოფელ დიღმის საღამოს სკოლის VII კლასში ისტორიის გაკვეთილზე (მასწავლებელი ო. ღლონტი) მოსწავლეებმა საპროგრამო მასალის სრული უცოდინარობა გამოამჟღავნეს, პეტრე პირველსა და მის მიერ გატარებულ ღონისძიებებზე მოსწავლეებს წარმოდგენაც კი არ აქვთ.

დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე გეოგრაფიაში დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობასთან არსებულ საღამოს საშუალო სკოლის X კლასში. მასწავლებელი ს. ლომაძე საფუძვლიანად ვერ ფლობს გეოგრაფიას.

გარდაბნის რაიონში შექმნილია სკოლების მუდმივმოქმედი ხელშემწყობი კომისიები, განათლების განყოფილებაში არსებობს წარმოებაში მომუშავე რვა კლასის და საშუალო განათლების არმქონე ახალგაზრდების აღწერის მასალები, გარდაბნის რაიონში გამოვლინებულია 3011-მდე ასეთი ახალგაზრდა.

სკოლები არასაკმაო კავშირს ახორციელებენ თავიანთ მიკრორაიონებში განლაგებულ საწარმოო-დაწესებულებებთან, მათ კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან. ამ მხრივ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ სკოლების მუდმივმოქმედი ხელშემწყობი კომისიები. ეს გარემოება იმის მიზეზია, რომ სკოლებში ხშირია მეცადინეობაზე მოსწავლეთა დაგვიანებით გამოცხადება ან სრულიად გამოუცხადებლობის შემთხვევები. შემოწმების დღეს გამარჯვების საღამოს საშუალო სკოლაში 76 მოსწავლიდან გაკვეთილებს ესწრებოდა—22, სოფელ დიღმის საღამოს საშუალო სკოლაში 8 მაისს 71 მოსწავლიდან გაკვეთილებს ესწრებოდა-10, ამავე დღეს, მე-10 კლასში, მოსწავლეთა გამოუცხადებლობის გამო, ჩაიშალა მეცადინეობა, დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობასთან არსებულ საღამოს სკოლაში სხვადასხვა მიზეზების გამო გაკვეთილები გააცდინა 4-მა მასწავლებელმა, რის გამო 35 გაკვეთილის ნაცვლად ჩატარდა—15.

რაიონის განათლების განყოფილებას მიმდინარე სასწავლო წელს შეუსწავლია საღამოს სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა და განუხილავს სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე. საკითხი განხილულია აგრეთვე რაისაბჭოს აღმასკომის სხდომაზე და საქართველოს კპ გარდაბნის რაიონული კომიტეტის ბიუროზე.

საღამოს სკოლებს არასაკმაო ხელმძღვანელობას და დახმარებას უწევს გარდაბნის რაიონის პედაგოგიური კაბინეტი.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. გარდაბნის რაიონის განათლების განყოფილებამ და საღამოს სკოლების დირექტორებმა უახლოეს დროში უზრუნველყონ ამ ბრძანებაში და ნარკვევ მასალებში აღნიშნულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაცია.

2. რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს: ო. კოპალეიშვილს (გამარჯვების საღამოს საშუალო სკოლა), მ. კენკებაშვილს (გარდაბნის საღამოს საშუალო სკოლა); მათემატიკის— ნ. ოქრომელიძეს (გამარჯვების საღამოს საშუალო სკოლა), ა. გოგოლაძეს (სოფელ დიღმის საღამოს საშუალო სკოლა), ც. მუმლაძეს (დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობასთან არსებული საღამოს საშუალო სკოლა), ი. ზარქუას (გარდაბნის საღამოს საშუალო სკოლა); ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობის—ს. წიკლაურს (გამარჯვების საღამოს საშუალო სკოლა) საგნების არადამაკმაყოფილებლად სწავლებისათვის გამოეცხადოთ საყვედური.

3. სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დაბალ დონეზე დაყენებისათვის გამოეცხადოს საყვედური გარდაბნის საღამოს საშუალო სკოლის დირექტორს დ. სიხარულიძეს.

4. სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობისათვის და საგნის სწავლების დაბალ დონეზე დაყენებისათვის გამოეცხადოს სასტიკი საყვედური დიღმისა და დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობასთან არსებული საღამოს საშუალო სკოლის დირექტორებს ო. ღლონტსა და ს. ლომაძეს.

5. ჩამოერთვათ, როგორც არასპეციალისტებს, ფიზიკის გაკვეთილები დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობასთან არსებულ საღამოს საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელ ლ. კიკნაძეს და გამარჯვების საღამოს საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელ ე. ბერიშვილს.

6. მასწავლებელთა მუშაობაზე საჭირო კონტროლის განუხორციელებლობისათვის, სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის არადამაკმაყოფილებელად ხელმძღვანელობისათვის და საგნის სწავლების დაბალ დონეზე დაყენებისათვის განთავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობიდან გამარჯვების საღამოს საშუალო სკოლის დირექტორი ნ. მელიქიძე, დიღმის სასწავლო-საცდელ მეურ-

ნეობასთან არსებული საღამოს საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში ნ. ბ. ლეიშვილი.

7. მიღებული იქნეს ცნობად, რომ მასწავლებელთა მუშაობაზე სუსტი კონტროლისა და სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობისადმი არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისათვის ახალი სამგორის საშუალო სკოლის დირექტორი შ. ხუსკივაძე და დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობის დარგში გ. გოცირიძე განთავისუფლებული არიან თანამდებობიდან. ხოლო ამავე სკოლის ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელ რ. კოზაევს და ქიმიის მასწავლებელ ნ. გუჯაბიძეს დადებული აქვთ ადმინისტრაციული სასჯელი.

8. საღამოს საშუალო სკოლების არასაკმაო ხელმძღვანელობისათვის გარდაბნის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ა. ერტელიშვილს მიეთითოს.

9. საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველომ (უფროსი ვ. ჩინჩლაძე) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1973 წლის 7 ივნისის ბრძანება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წლის 11 ივნისის ბრძანება № 404

საკოლმეურნეო სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ

გაქვეყნებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 28/IV № 295 დადგენილებას „კოლმეურნეობებში სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების ქსელის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“

„ითვალისწინებს რა, რომ სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების არსებული ქსელი რესპუბლიკის კოლმეურნეობებში უმნიშვნელოა და არ შეესაბამება ამ დაწესებულებებზე კოლმეურნეთა მოთხოვნილებებს, რესპუბლიკის კოლმეურნეთა ბავშვების სკოლამდელი ასაკის გაუმჯობესების მიზნით და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 17 მარტის № 162 დადგენილებების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რესპუბლიკის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის ადგილობრივ ორგანოებს:

ა) შეისწავლონ რესპუბლიკის სოფლის მოსახლეობის მოთხოვნილება სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებებზე თითოეული რაიონის მიხედვით და შეიმუშაონ ღონისძიებანი კოლმეურნეობებში სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების შექმნისა და ქსელის გაფართოებისათვის, რათა უახლოეს წლებში მაქსიმალურად დაკმაყოფილდეს კოლმეურნეთა მოთხოვნილება ამ დაწესებულებებზე;

ბ) დააწესონ მეცნიერული კონტროლი კოლმეურნეობებში სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების მშენებლობის მიმდინარეობისადმი და გაუწიონ მათ საჭირო დახმარება მის განხორციელებაში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) მიიღონ ზომები კოლმეურნეობებში არსებულ სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების მუშაობის გაუმჯობესებისათვის, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განატკიცებისა და სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესებისათვის;

დ) გააუმჯობესონ კოლმეურნეობების, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების მომარაგება (კოლმეურნეობათა სახსრებით) საჭირო მოწყობილობით, ინვენტარით, ჭურჭლით, სათამაშოებითა და სახელმძღვანელოებით, სახელმწიფო სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებებისათვის დადგენილი ნორმების შესაბამისად.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებს:

ა) გააძლიერონ კოლმეურნეობების სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულების მეთოდიკური ხელმძღვანელობა, ამ მიზნით სისტემატურად შეისწავლონ მათი მუშაობა. უზრუნველყონ ისინი თვალსაჩინოებებითა და „აღზრდის პროგრამებით", შეიყვანონ მათი თანამშრომლები რაიონის (ქალაქის) სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების მუშაკთა სექციებსა და მეთოდურ გაერთიანებებში;

ბ) აკრძალონ ბაგის ასაკის და სამ წელზე უფროსი ბავშვების ერთ ჯგუფად გაერთიანება;

გ) გააძლიერონ საქალაქო სკოლამდელთა დაწესებულებების შეფობა კოლმეურნეობების სკოლამდელთა დაწესებულებებისადმი.

3. მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ კოლმეურნეობების სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებებში პედაგოგთა კადრები დაინიშნება სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით და ამ მიზნით, უწინარეს ყოვლისა, გამოყენებულ იქნებიან თბილისის ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური სასწავლებლის კურსდამთავრებული სპეციალისტები.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ გაითვალისწინოს 1974—1975 წლებში იმ პედაგოგთა გადამზადება, რომლებიც მუშაობენ კოლმეურნეობების სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებებში.

5. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ:

ა) ქმედითი დახმარება გაუწიოს კოლმეურნეობებს სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების ქსელის გაფართოებაში და მათთვის შენობების აგებაში;

ბ) სკოლამდელ ბავშვთა აღზრდის გაუმჯობესებისა და სკოლაში შესასვლელად მათი მომზადების მიზნით, თანდათანობით

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდაქმნას კოლმეურნეობების სკოლამდელ ბავშვთა სეზონური დაწესებულებანი მუდმივმოქმედ დაწესებულებებად.

6. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ გააძლიეროს კონტროლი კოლმეურნეობების სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებებში ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური დახმარების ორგანიზაციისადმი, ამ დაწესებულებათა სანიტარული მდგომარეობისა და მათში სანიტარულ ეპიდემიასაწინააღმდეგო რეჟიმის დაცვისადმი, უზრუნველყოს ამ დაწესებულებების მედიცინის მუშაკთა მომზადება და კვალიფიკაციის სისტემატურად ამაღლება.

7. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გაითვალისწინონ: მოყოლებული 1974 წლიდან, სახალხო-სამეურნეო გეგმათა პროექტებში საიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ლიმიტებისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყოფა, რაც საჭიროა კოლმეურნეობათა სახსრებით ბაგა-ბაღებია მშენებლობის უზრუნველსაყოფად.

8. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რესპუბლიკის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სოფლად განლაგებული სხვა საწარმო-ორგანიზაციების თანხმობით გადაჭრან საკითხი იმის შესახებ, რომ გააერთიანონ სახსრები კოლმეურნეობათა ტერიტორიაზე სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების წილობრივი მონაწილეობით მშენებლობისათვის.

9. დაევალოს საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს, უზრუნველყოს სოფლად განლაგებული სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებებისათვის ავეჯის დამზადება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს განცხადებით გათვალისწინებული ოდენობით, შესაბამისი არასაბაზრო ფონდის გამოყოფით.

10. მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 17 მარტის № 162 დადგენილებით გათვალისწინებულია:

ა) რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს:

დააწესონ მუდმივი ბაგების, ბაგა-ბაღებისა და საბავშვო ბაღების სამედიცინო და პედაგოგიურ მუშაკთა (კოლმეურნეობების წევრთა) შრომის ანაზღაურება, სამუშაო დღისა და შვებულების

ხანგრძლივობა იმ ოდენობითა და წესით, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი სახელმწიფო სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების მოცემული კატეგორიის მუშაკთათვის:

სამედიცინო და პედაგოგიური მუშაკები, რომლებიც არ არიან კოლმეურნეობათა წევრები, მიიღონ სამუშაოზე შრომითი ხელშეკრულებით;

კოლმეურნეობათა სახსრების ხარჯზე უფასოდ მისცენ სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების პედაგოგიურ და სამედიცინო მუშაკებს ბინები და გაუწიონ კომუნალური მომსახურება;

ბ) გავრცელდეს კოლმეურნეობების სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების გამგეებზე, მათ აღმზრდელებზე, მუსიკალურ ხელმძღვანელებსა და სამედიცინო მუშაკებზე (კოლმეურნეობათა წევრებზე), რომლებსაც აქვთ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება, საახალმწიფო საპენსიო უზრუნველყოფისა და სოციალური დაზღვევის ის პირობები, რაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 20 ივლისის № 622 დადგენილებით გათვალისწინებულია კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, სპეციალისტებისა და მექანიზატორებისათვის;

გ) რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს გაგზავნონ საშუალო სკოლის კურსდამთავრებული კოლმეურნეები საბავშვო ბაღების სამედიცინო დების მოსამზადებელ კურსებზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 18 სექტემბრის № 1099 დადგენილებით გათვალისწინებული წესისა და პირობების შესაბამისად;

დ) დაწესდეს, რომ კოლმეურნეობათა ბაღებში, ბავა-ბაღებსა და საბავშვო ბაღებში სამედიცინო და პედაგოგიურ მუშაკთა, მათ შორის კოლმეურნეობების წევრთა, სპეციალობის მიხედვით მუშაობის დრო, თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისას, ჩაითვლება სპეციალობის მიხედვით მუშაობის სტაჟში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე შ. კაკნაძე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ზ. ახვლედიანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აღნიშნული დადგენილებისა და სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1973 წლის 3 აპრილის № 30 ბრძანების „საკოლმეურნეო სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის შემდგომი განვითარების შესახებ“ შესასრულებლად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებებმა:

ა) განუხრელად იხელმძღვანელონ თავიანთ საქმიანობაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით „კოლმეურნეობაში სკოლამდელი დაწესებულებების ქსელის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“;

ბ) სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოებთან ერთად შეიმუშაონ ღონისძიებები საკოლმეურნეო სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის შემდგომი ზრდის, მათი მატერიალური ბაზის განმტკიცებისა და არსებულ სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესების შესახებ.

ამ მიზნით, გაშალონ სოცშეჯიბრი რაიონებს, კოლმეურნეობებსა და თვით სკოლამდელ დაწესებულებებს შორის; უზრუნველყონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საკავშირო დათვალიერების—„სოფლად სკოლამდელი აღზრდის საუკეთესო ორგანიზაციისათვის“ მაღალ დონეზე ჩატარება;

გ) აამაღლონ საკოლმეურნეო სკოლამდელი დაწესებულებებისადმი მეთოდური ხელმძღვანელობა, სისტემატური დახმარება გაუწიონ აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციაში.

მიიღონ ზომები საკოლმეურნეო სეზონურ სკოლამდელ დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

შეისწავლონ, განაზოგადონ და გაავრცელონ საკოლმეურნეო სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაკების საუკეთესო გამოცდილება;

დ) შეიმუშაონ და გაავრცელონ ღონისძიებანი საკოლმეურნეო სკოლამდელ დაწესებულებათა პედაგოგიური კადრების შემადგენ-

ლობის გაუმჯობესების მიმართულებით, უახლოეს დროში საკოლმეურნეო სკოლამდელი დაწესებულებები უზრუნველყონ კვალიფიციური კადრებით. საშუალო განათლების მქონე კოლმეურნეო გოგონებია პედასწავლებელსა და პედაგოგიურ ინსტიტუტებში ჩაბმის მიზნით, გაატარონ საჭირო ღონისძიებები;

ე) გააძლიერონ კონტროლი საკოლმეურნეო სკოლამდელ დაწესებულებებში პედაგოგიური კადრების შერჩევა-დანიშვნაზე, აკრძალონ არაპედაგოგიური განათლების მქონე პირების დანიშვნა გამგისა და აღმზრდელის თანამდებობაზე.

ვ) უზრუნველყონ საკოლმეურნეო სკოლამდელ დაწესებულებათა პედაგოგიური კადრების კვალიფიკაციის ამაღლება მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის, რაიონის მეთოდგაერთიანებებისა და სხვადასხვა საკურსო ღონისძიებების საშუალებით;

ე) მიიღონ ზომები საკოლმეურნეო სკოლამდელი დაწესებულებების სასწავლო ნივთებით, თვალსაჩინოებით, მეთოდური და მხატვრული ლიტერატურით უზრუნველყოფისათვის;

ე) გააძლიერონ კონტროლი საკოლმეურნეო სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა კვების ორგანიზაციაზე: ყურადღება მიაქციონ კვების ხარისხს, ასორტიმენტისა და ნორმების დაცვას. სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოებისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან ერთად მოაწყონ მზარეულთა კვალიფიკაციის ამაღლებელი კურსები.

2. სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკურმა მეთოდურმა კაბინეტმა (ამხ. ნ. კაკაურიძე) გაშალოს სემინარული მუშაობა საკოლმეურნეო სკოლამდელ დაწესებულებათა პედ. პერსონალის მეთოდური დახელოვნებისათვის.

3. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. თ. ზაბაშვილი) 1974 წლის გეგმაში გაითვალისწინოს საკოლმეურნეო სკოლამდელ დაწესებულებათა გამგეებისა და აღმზრდელების გადამზადება კურსებზე.

4. პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (ამხ. გ. საყვარელიძე) და სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკურმა მეთოდურმა კაბინეტმა (ამხ. ნ. კაკაურიძე) 1974 წლის 1 იანვრამდე მოამზადონ რეკომენდაციები მცირე კომპლექტიანი საბავშვო ბაღების ასაკით შერეულ ჯგუფებში ბავშვთა ცხოვრების ორგანიზაცია-აღზრდის საკითხებზე და მითითებანი აღზრდის პროგრამის საკოლმეურ-

ნეო სეზონურ სკოლამდელ დაწესებულებებში ამოყენების შესახებ.

5. გაზეთ „სახალხო განათლების“, ჟურნალ „დაწყებითი სკოლა და სკოლამდელი აღზრდის“ რედაქციებმა სისტემატურად გააშუქონ საკითხები საკოლმეურნეო სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის შესახებ.

6. კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სკოლამდელი აღზრდის განყოფილებას (ამხ. გ. აბდუშელიშვილი).

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1973 წლის 24 მაისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წლის 12 ივნისის ბრძანება № 409

1973 წელს რესპუბლიკის უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მიღების ორგანიზებულად ჩატარების ღონისძიებათა თაობაზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1973 წლის 29 მაისის დადგენილების შესრულების შესახებ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ, რომელიც დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ანიჭებს 1973 წელს რესპუბლიკის უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში ახალგაზრდების ყველაზე ღირსეული ნაწილის სწორ შერჩევას, სტუდენტთა და მოსწავლეთა ახალი კონტინგენტის მიღების მთელი მუშაობის ორგანიზებულად ჩატარების უზრუნველყოფას, 1973 წლის 29 მაისს მიიღო დადგენილება „1973 წელს რესპუბლიკის უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მიღების ორგანიზებულად ჩატარების ღონისძიებათა შესახებ". (გაზ. „კომუნისტი" 1973 წ. 1.VI № 127 (15644)

დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ უმაღლესი სასწავლებლების საგნობრივ-საგამოცდო კომისიებში გამომცდელებად ხვდებოდნენ პირები, რომლებიც არალეგალურად ეწეოდნენ კერძო რეპეტიტორობას, რაც უკანასკნელ წლებში ფართოდ იყო გავრცელებული. რეპეტიტორობის გამომწვევ ერთ-ერთ მიზეზად მიჩნეულია განსხვავება საშუალო სკოლის კურსდამთავრებულის ცოდნის დონესა და უმაღლეს სასწავლებელში შესწავლისას მის მიმართ წაყენებულ მოთხოვნათა შორის.

ამასთან, აღნიშნულია ისიც, რომ სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები და ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების პედაგოგიური კოლექტივები, სხვა ორგანიზაციებთან ერთად, სათანადოდ არ ზრუნავენ უმაღლესი სასწავლებლის ფარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლებს გარეთ დარჩენილი სკოლადამთავრებული ახალგაზრდობის შრომით მოწყობასა და მომავალზე.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1973 წლის 29 მაისის ზემოაღნიშნული დადგენილების შესასრულებლად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) ყველა ზომა მიიღონ მასწავლებელთა მხრივ არალეგალური კერძო რეპეტიტორობის მთლიანად აღსაკვეთად;

ბ) სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მკვეთრი გაუმჯობესებით მისცენ საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებს ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა ყველა სასწავლო დისციპლინაში;

გ) მეთოდური დახმარება აღმოუჩინონ უმაღლეს სასწავლებლებს საგამოცდო ბილეთების შედგენისას დადგენილი წესის ზუსტად დაცვაში;

დ) საგნობრივ-საგამოცდო და საპრეტენზიო კომისიების შემადგენლობაში შერჩეული საუკეთესო მასწავლებლების სიები საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში წარმოადგინონ ა/წლის 20 ივნისამდე.

2. ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების დირექტორებმა:

ა) სისტემატურად იზრუნონ იმ კურსდამთავრებულთა შრომით მოწყობაზე, რომლებიც კონკურსით ვერ მოხვდნენ უმაღლეს სასწავლებლებში;

ბ) ა/წლის 25 ივნისამდე პირადად ჩაატარონ მეათე კლასის მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან საუბრები უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესების, გამოცდების დროს აბიტურიენტებისა და მათი მშობლების ქცევასა და სხვა საკითხებზე;

გ) სკოლების პედაგოგიური საბჭოების უახლოეს სხდომებზე განიხილონ და რეკომენდაცია მისცენ იმ საუკეთესო, მაღალი მომზადების, ობიექტურ, პრინციპულ და უანგარო მასწავლებლებს, რომელთა შეყვანა შეიძლება უმაღლესი სასწავლებლების საგნობრივ-საგამოცდო და საპრეტენზიო კომისიების შემადგენლობაში, ამასთან, მხედველობაში მიიღონ, რომ არ შეიძლება რეკომენდაცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიეცეს იმ მასწავლებლებს, რომლებიც კერძო რეპეტიტორობას ეწევიან.

3. ეცნობოს სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებს, რომ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის აღნიშნული დადგენილებით, მიზანშეწონილადაა ცნობილი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წარდგენით პედაგოგიური ინსტიტუტების შესაბამის სპეციალობებზე კონკურსგარეშე ჩარიცხოს იმ სოფლის რაიონის მცხოვრებლები, სადაც იგრძობა რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მწვავე ნაკლებობა.

4. რადგანაც სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1973 წლის 5 თებერვლის № 16 ინსტრუქციის თანახმად, პედაგოგიურ ინსტიტუტებში კონკურსგარეშე მიიღებიან დაშორებული სოფლის რაიონებში მცხოვრები ახალგაზრდები, დაეკალოთ ასსრ განათლების სამინისტრო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წაყენებულ მოთხოვნათა შორის;

ბ) არალეგალურ კერძო რეპეტიტორობას.

აღნიშნული ღონისძიებანი 1973 წლის 1-ლი ოქტომბრისათვის გაეგზავნოს საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს.

7. სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკმა) და კადრების ბანყოფილებამ (ამხ. ი. კვაჭაძემ) მტკიცე კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების განხორციელებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1973 წლის 7 ივნისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ПРИКАЗ

По Министерству просвещения Грузинской ССР
По Министерству строительства Грузинской ССР
По Министерству сельского строительства Грузинской ССР

гор. Тбилиси № 400—368—190
от 7 июня 1973 года

О марах по дальнейшему развитию вечернего и заочного общего образования молодежи, занятой в строительстве

XXIV съезд КПСС наметил в текущей пятилетке завершить переход ко всеобщему среднему образованию в стране. Важную роль в выполнении этой задачи призваны сыграть вечерние (сменные) и заочные школы.

Постановлением ЦК КПСС и Совета Министров СССР от 20 июня 1972 г. № 463 „О завершении перехода ко всеобщему среднему образованию молодежи и дальнейшем развитии общеобразовательной школы" предусмотрено создание необходимых условий для завершения среднего образования работающей молодежью, расширение сети вечерных школ по месту работы молодежи и укрепление их материальной базы, а также определение плановых заданий по вовлечению в школы молодых рабочих по каждому предприятию.

Многие строительные организации Грузинской ССР, совместно с органами народного образования и вечерними школами добились определенных успехов в повышении общеобразовательного уровня молодых рабочих.

В настоящее время в вечерних (сменных) и заочных общеобразовательных школах по Грузинской ССР обучается около 7.500 строительных рабочих.

Вместе с тем в организации общеобразовательной подготовкн молодых рабочих на стройках, промышленных предприятиях и на объектах сельского строительства имеются существенные недостатки. Из-за отсутствия собственных помещений, значительная часть школ проводит занятия только вечером, тогда как многие строители работают посменно,

Отдельные руководители строительных предприятий и организаций не уделяют должного внимания вовлечению в школы строительных рабочих, созданию условий, стимулирующих у молодежи желение завершить среднее образование, не обеспечивают посещаемость занятий и сохранение контингента. В результате значительная часть строительных рабочих еще не учится.

По Министерству строительства Грузинской ССР в строительном управлении № 8 треста № 14 (Управляющий трестом Квичидзе Г. В., Начальник отдела кадров Церетели Г. Н.) по состоянию на 20 апреля 1973 года работает молодых рабочих в возрасте с 16 до 30 лет, не имеющих 8-летнего и среднего образования, 67 чел., из них учится только 37 человек.

По Министерству сельского строительства Грузинской ССР в тресте № 1 ПМК № 1 Минсельстроя (Управляющий трестом тов. Волох С. Р., Начальник отдела кадров т. Лашашвили Л, Ш.) не обучающихся молодых рабочих в возрасте с 16 до 30 лет—53 человека.

Педколлективы некоторых вечерних школ мало применяют современные технические средства обучения, допускают отсев учащихся.

Во исполнение приказа № 17(15)37 пк/51 от 27/II-1973 года Министерства просвещения СССР, Министерства строительства предприятия тяжелой индустрии СССР, Министерства промышленного строительства СССР, Министерства строительства СССР „О мерах по дальнейшему развитию вечернего и заочного общего образования молодежи, заня-

той в строительстве"; в целях дальнейшего расширения и совершенствования общеобразовательной подготовки молодежи, работающей на стройках, как в городской, так и в сельской местности,

ПРИКАЗЫВАЕМ:

1. Министрам просвещения Абхзской и Аджарской АССР, Зав. Обл. ОНО Юго-Осетинской АО, Заведующим городскими (районными) отделами народного образования:

а) создавать максимельно благоприятные условия для совмещения молодежью учебы в вечерних и заочных школах с работой на производстве, на стройках, имея в виду открытие школ, консультационных пунктов и выбор режима занятий в соответствии со спецификой труда строителей;

б) обеспечить вечерние школы обслуживающие строителей, квалифицированными учителями, учебниками, пособиями, лабораторным оборудованием, техническими средствами; создавая условия для перехода на кабинетную систему обучения;

в) разрешить учащимся вечерних и заочных школ, занятым на строительстве с длительным отрывом от постоянного места жительства, получать консультации и сдавать зачеты в ближайшей средней щколе, удобной для учащихся;

г) предоставить право педсоветам вечерних школ считать действительными в течение трех лет зачеты и экзамены, сданные учащимися-заочниками, работающими на объектах строительства в отдаленных местах;

Д) разрешить руководителям вечерних школ по предложению организаций и предприятий в классах, скомплектованных из строителей, наряду с общеобразовательной подготовкой, повышение производственной квалификации учащихся;

е) обеспечить, совместно с органами профтехобразования, повышение общеобразовательного уровня учащихся профтехучилищ, готовящих кадры строительных рабочих, используя наиболее рациональные режимы занятий, устраняющие перегрузку учащихся.

2. Управляющим трестами, Начальникам управлений Министерства строительства и Министерства сельского строительства Грузинской ССР:

а) разработать мероприятия по развитию среднего образования строителей, обеспечить выполнение подведомственными предприятиями и организациями плановых заданий по вовлечению рабочих в вечерние и заочные школы, установив систематический контроль за ходом учебы;

б) создать учащимся вечерних и заочных школ условия, обеспечивающие успешное совмещение учебы с работой на производстве.

Возложить на руководителей предприятий и организаций ответственность за обучение работающей молодожи, не имеющей среднего образования;

в) возложить контроль за общеобразовательной подготовкой рабочих кадров на отделы кадров трестов и управлений;

г) обеспечить активное участие подведомсотвенных организаций в объявленном Президиумом ВЦСПС, Бюро ВЛКСМ и Коллегией Министерства просвещенив СССР смотре: „Каждому молодому труженику—среднее образование“

д) учитывать показатели работы по завершению молодыми рабочими и служащими среднего образования при подведении итогов хозяйственной деятельности строительных предприятий и организаций.

3. Руководителям строительных организаций и промышленных предприятий;

а) ежегодно определять контингент молодожи, подлежащей обучению в вечерних щколах, направлять молодых рабочих в школы по путевкам строительных организаций и предприятий, своевременно принимать меры к предупреждению пропусков ими занятий и отсева учащихся;

б) предоставлять в установленном порядке помещения для вечерних школ, обеспечивать их учебным и хозяйственным оборудованием, своевременно вводить в эксплуатацию

ეროვნული
ბიბლიოთეკა

новые школьные здания, предусмотренные планом капитального строительства на девятую пятилетку;

в) поощрять молодежь, успешно сочетающую работу на производстве с учебой, оказывать ей преимущество при повышении квалификационных разрядов и продвижения по работе;

г) выделять из числа инженерно-технических работников квалифицированных специалистов для проведения занятий с учащимися вечерних школ по повышению их производственной квалифцкации с оплатой труда в установленном порядке.

4. Контроль за выполнением настоящего приказа возложить соответственно на Управление вечерних и заочных школ Министерства просвешения Грузинской ССР, отдел кадров Министерства строительства Грузинской ССР и отдел кадров Министерства сельского строительства Грузинской ССР.

Министр просвещения Грузинской ССР	Министр строительства Грузинской ССР	Министр сельского строительства Грузинской ССР
Т. Лашкарашвили	**Г. Вашакидзе**	**И. Харатишвили**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. დებულება მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებული კომიტეტის სახალხო განათლების განყოფილების შესახებ .
2. დადგენილება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიებისა 17
3. ბრძანება № 339—მცხეთის რაიონის საღამოს სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 19
4. ბრძანება № 368—წალენჯიხის რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესწავლის შედეგების თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წლის 4 მაისის № 287 ბრძანების შესრულების მიმდინარეობ ს შემოწმების შესახებ 25
5. ბრძანება № 374—სასკოლო და საბავშვო დაწესებულებათა ობიექტების მშენებლობის 1973 წლის გეგმების შესრულების მიმდინარეობისა და მშენებლობებზე დაშვებული მიწერების შესახებ 27
6. ბრძანება № 388—თელავის რაიონის სოფელ ყარაჯალის ქართულ საშუალო სკოლასთან აზერბაიჯანული სექტორის გახსნის შესახებ . . . 31
7. ბრძანება № 390—მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა აღრიცხვის, დანიშვნის, გადაყვანისა და დათხოვნის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ კასპისა და ქარელის რაიონებში . . . 35
8. ბრძანება № 391—ზაფხულის არდადეგების პერიოდში მშენებლობასა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უფროსკლასელთა მასობრივი მონაწილეობის თაობაზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის 6 თებერვლის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ 40
9. ბრძანება № 395—გურჯაანის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების შესრულების მიმდინარეობისა და ახალ სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებზე გადასვლის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ 43
10. ბრძანება № 401—გარდაბნის რაიონის საღამოს სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 75

11. ბრძანება № 404—საკოლმეურნეო სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის შემდგომი განვითარების დონისძიებათა შესახებ . . . . . .
12. ბრძანება № 409—1973 წელს რესპუბლიკის უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მიღების ორგანიზებულად ჩატარების ღონისძიებათა თაობაზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1973 წლის 29 მაისის დადგენილების შესრულების შესახებ 92
13. Приказ № 400—368—190—О мерах по дальнейшему развитию вечернего и заочного общего образования молодежи, занятой в строительстве 97

რედაქტორი უშ. ობოლაძე
კორექტორი ე. ქურციკიძე

ფასი 14 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/VIII-73 წ. ანაწყობის ზომა 6×9,5,
ქაღალდის ზომა 60×84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 6,5

შეკვ. № 797 უე—05802 ტირაჟი 5.000.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 11, უშ. ჩხეიძის ქ. № 19

Типография № 11 Главполиграфпрома Государственного Комитета по делам издательств, полиграфии и книжной торговли Совета Министров Грузинской ССР, ул. Уш. Чхеидзе № 19